№ 102
(11 251)
25 – 28 დეკემბერი, 1998 წ. ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ექსკლუზიური ინტერვიუ ფიფას პრეზიდენტთან

# ზეპ ბლატერი თავისი პროგრამის შესახებ

იხ. მე-4 გვ.



# ამის იქით კატასტროფაა...

**სიდნეიში 2000 წელს ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს წარმოსაჩენად ქვეყანამ, მოსამზადებელ ეტაპზე, მიზნობრივად უნდა გაიღოს 3 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ვალუტა**

ბევრია ეს თუ ცოტა? ცხადია, ბევრი კი არა, ათ ამდენს და მეტსაც, ის ქვეყნები, ვისაც ოლიმპიურ თამაშებში სურს მოიპოვოს მედალი, სპორტის ერთ სახეობას ახმარენ, ჩვენთან კი ლაპარაკია საერთოდ, ქვეყნის სპორტული ავანგარდის მომზადებაზე თამაშებამდე დარჩენილ ორ წელიწადზე ნაკლებ დროში. როცა ასეთ მიზერულ თანხას ითხოვს, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური სიძნელეები აქვს გათვალისწინებული და ისიც, რომ სპორტისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილ ფულთან ერთად ეს მიზნობრივი თანხა სასიკეთოდ

იხ. მე-2 გვ.

ტალანტები XXI საუკუნისათვის

# ამ ასაკში ასეთი ტიტულოვანი სპორტსმენი ჯერ არ გვყოლია

**ჭეშმარიტი ტალანტები სპორტში ხანდახან ერთბაშად გაბრწყინდებიან ხოლმე და გულშემატკივრები მათი პირველი წარმატების აღქმა-გაანალიზებას ვერ ასწრებენ, რომ უკვე მეორეზე უხდებათ მსჯელობა, მეორეს – მესამე მოსდევს და ა.შ.**

გიგა კორძაძე მართლაც უნიკალური სპორტსმენია. იგი ერთნაირი შემართებით და მიღწევებით ასპარეზობს როგორც კიკბოქსინგში, ისე ტაილანდურ კრივსა და, საერთოდ, კრივში. უცხოელი სპეციალისტები მას ფენომენურ სპორტსმენად ახასიათებენ. ჯერ დოსიეს გადავავლოთ თვალი. დაიბადა 1980 წელს. თბილისში, წონა 67 კგ, სიმაღლე – 185 სმ.

ზოდიაქო – მშვილდოსანი. 6 წლისამ ცურვაში დაიწყო ვარჯიში, შემდეგ კიკბოქსინგსა და ტაილანდურ კრივში ოსტატდებოდა მწვრთნელ გოჩა ჯავახიასთან. პარალელურად ემზადება კრივში. შარშან, მაგალითად, რინგზე ოთხი ბრძოლა ჩაატარა და ოთხივე ნოკაუტით მოიგო. არც ერთი საერთაშორისო ტურნირი არ წაუგია კიკბოქსინგსა და ტაილანდურ კრივში. ალმასვლა კი ასე დაიწყო: 1995 წ – კიკბოქსინგი, მსოფლიო პირველობა – III, 1997 (ტაილანდური კრივი) – III, წარმატებით გამოდიოდა დსთ-ს პირველობებში, არის საქართველოს რვაგზის ჩემპიონი კიკბოქსინგში და ტაილანდურ კრივში. ორივე სახეობაში გამართა ხუთი ბრძოლა პროფესიონალებთან და ხუთივე მოიგო, მათ შორის ორი აშშ-ში. წლეულს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი გახდა კიკბოქსინგში, მოიპოვა მსოფლიო თასი, ევროპისა და საქართველოს ჩემპიონი გახდა ტაი-

იხ. მე-2 გვ.

# სეოკ-ის რჩეულნი



საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა სპორტის ოლიმპიურ სახეობებში 1998 წელს მიღწეული შედეგების მიხედვით დაასახელა 10 საუკეთესო სპორტსმენი და სამი საუკეთესო მწვრთნელი.

წლის საუკეთესო სპორტსმენად სეოკ-მა აღიარა მოკრივე **კობა გოგოლაძე**, რომელმაც წლეულს მოიგო ევროპის თასი, მეორე ადგილი ხვდა მსოფლიოს თასის გათამაშებაში, ევროპის ჩემპიონატში კი დაიკავა მეორე საპრიზო ადგილი.

უძლიერესთა ათეულში შევიდნენ (ანბანის მიხედვით):
გიორგი ასანიძე (ძალოსნობა)
ხვიჩა ბიჩინაშვილი (ბ/რ. ჭიდ.)
რამაზ გაზაშვილი (კრივი)
ელდარ კურტანიძე (თ/ჭიდ.)
დავით პოლოსიანი (თ/ჭიდ.)
გიორგი რევაზიშვილი (ძიუდო)
ნინო სალუქვაძე (ტყვ. სროლა)
ნესტორ ხერგიანი (ძიუდო)
რუსუდან ხოფერია (ბატუტი)

**საუკეთესო მწვრთნელები**
ივანე გრიქუროვი (ძალოსნობა)
ზურაბ გუნია (კრივი)
ნუგზარ სხირელი (თ/ჭიდ.)

# სარატოვში ნაცვლიშვილს ხრიაპა არჩიეს

თითქმის გადაწყვეტილი იყო – ერთ-ერთი უძლიერესი ქართველი კალათბურთელი ვახტანგ ნაცვლიშვილი სარატოვის „ავტოდორს“ უნდა შეეძინა. ამ მიზნით, თურმე რუსულ კლუბს საქართველოს ნაკრების თამაშებზე რამდენიმეჯერ მსტოვარიც გამოუგზავნია. ჩვენი კალათბურთელების უსუსური თამაშის მხილველ სარატოველებს ხელი აუღიათ განზრახვაზე და ნაცვლიშვილის მაგივრად უკრაინელ ნიკოლაი ხრიაპას შესთავაზეს კონტრაქტი.

# ედიშერ მაჩაიძე ფილა-ს ექსტრაკლასის მსაჯია!



ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფილა) გამოავლინა საუკეთესო მსაჯები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს 1998 წელს და მომავალ სპორტულ სეზონში კი ზოგიერთი მათგანი უფრო მაღალ რანგში გავა სამსაჯოდ ხალიჩაზე. საუკეთესოთა სია ახლახან გამოქვეყნდა ფილა-ს ჟურნალში. რჩეულთა სიაში საქართველოდან მოხვდა 8 მსაჯი, რომელთაც სათავეში უდგას **ედიშერ მაჩაიძე** – იგი ერთადერთია ჩვენი ქვეყნიდან, რომელსაც ექსტრაკლასის არბიტრის წოდება აქვს მინიჭებული.

*სურათზე: ედიშერ მაჩაიძე მსაჯობისას (ფოტო გამოქვეყნებულია ფილას-ს ჟურნალის გარეკანზე).*

## ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ

**გამოვლინა 1998 წლის 3 საუკეთესო მწვრთნელი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ესენი არიან: ჯონი რეხვიაშვილი, ვაჟა კრავეიშვილი და ბეგი დარჩია.**

## ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის ეროვნული ფედერაციის რჩეულნი (1998 წ)

1. გიგა კორძაძე, 2. გიორგი ჩაკვეტაძე, 3. ზურაბ ბესიაშვილი, 4. გიორგი გორგოძე, 5. მიშა მაზაშვილი, 6. შამილ გუჯეჯიანი, 7. კობა კალაიჯიშვილი, 8. გია გულიკიანი, 9. დათო ბართაია, 10. ლევან ყაველაშვილი.
*საუკეთესო მწვრთნელები:* 1. გოჩა ჯავახია, 2. არჩილ აბაშიშვილი, 3. დათო დათუსანი.
*საუკეთესო მსაჯები:* 1. სლავა გალიაროვი, 2. ზურაბ ჩიტრეკაშვილი, 3. გოჩა შეშაბერიძე.

**საუკეთესონი**

## მკლავჭიდის ფედერაციის 1998 წლის ათი საუკეთესო სპორტსმენი

1. ვახტანგ ჯავახაძე – მსოფლიოსა და ევროპის ორგზის ჩემპიონი
2. ერეკლე გურჩიანი – მსოფლიოსა და ევროპის ორგზის ჩემპიონი
3. თემურ ლიპარტაშვილი – მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი
4. გურამ გრიგოლაშვილი – მსოფლიო ჩემპიონი.
5. ვეფხვია სამხარაძე – მსოფლიო ფინალისტი
6. მამუკა ფაჯიშვილი – მსოფლიო პრიზიორი
7. როინ ნოზაძე – ევროპის ჩემპიონი
8. ვახტანგ შიხაშვილი – მსოფლიო პრიზიორი
9. კოტე რაზმაძე – ევროპის ფინალისტი
10. ლაშა ჩანადირი – მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის.

# „მილანი“ კვლავ ამბიციური ხდება – მას უძლიერესი თავდასხმა ეყოლება, უკრაინის ჩემპიონის ხაზინა კი საგრძნობლად გაიზრდება

„La Gazzetta dello Sport“-ის ცნობით, სულ ახლო მომავალში იტალიური „მილანი“ შეეცდება კვლავ დაიბრუნოს მსოფლიოში უძლიერესი გუნდის ტიტული. ამ მიზნით, მისმა მესვეურებმა 1999 წლის 1 ივნისიდან 5-წლიანი კონტრაქტი შესთავაზეს კიევის „დინამოს“ მთავარ დამრტყმელ ძალას, 22 წლის ანდრეი შევჩენკოს. „მილანი“ უკრაინულ კლუბს 40 მილიარდ ლირას (დაახლოებით 25 მილიონი დოლარი) გადაუხდის. იტყობინებიან, რომ მომავალი ხელშეკრულების დეტალები დაინტერესებულმა მხარეებმა უკვე განიხილეს და მოიწონეს. თუ ეს ტრანსფერი შედგა, „მილანს“ შემტევი ძალა ეყოლება – შევჩენკოს გარდა გერმანელი ოლივერ ბირჰოფი, ბრაზილიელი ლეონარდო და ლიბერიელი ჯორჯ ვეა.



# ამის იქით კატასტროფაა...

(პირველი გვერდიდან)

წაადგება საერთოდ, ქართულ სპორტს.

ჩვენს სპორტში საგანგაშო მდგომარეობაა — ამის იქით უკვე კატასტროფაა, თუ სასწრაფოდ არ გატარდა სამაშველო ღონისძიებები. ამ და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე ბევრი რამ ითქვა გასულ სამშაბათს სეოკში გამართულ შეხვედრაზე, როცა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელთა ერთი ჯგუფი, პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას თავკაცობით ეწვია საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის მართვის შტაბს. თავით ის ფაქტი, რომ ეს შეხვედრა უპრეცედენტო შემთხვევა იყო, მიგვანიშნებდა, რომ ქვეყნის პარლამენტს სერიოზულად გადაუწყვეტია შემობრუნდეს ქართული სპორტისკენ. პრობლემებში უფრო ღრმად ჩაწვდომის სურვილი კი მათ ნამდვილად გამოამჟღავნეს. როგორღაც ისე აეწყო, რომ ყველამ გულახდილად და პირდაპირ თქვა, რაც გვჭირს და იმაზეც ისაუბრა, რაც, თუ ჯერ საბოლოოდ არ გადაგვარჩენს, კრიზისიდან მაინც გამოგვიყვანს.

საერთოდ, თითქოს ახალი არაფერი უნდა თქმულიყო, მაგრამ ითქვა. ეტყობა ყველა სათქმელს მართლა დრო და შესაფერისი ადგილი სჭირდება. ამ დღეს სწორედ ეს ბედნიერი დამთხვევა იყო. ხმამაღლა ნათქვამი გამოგვივა, რომ გითხრათ, ამ შეხვედრის შემდეგ ყველაფერი რადიკალურად სასიკეთოდ შეიცვლება, მაგრამ ადრინდელებისგან განსხვავებით, თამამად შეიძლება ითქვას, რაღაც იმედი, ნამდვილად ჩაისახა.

ჯერ არსად, არც ერთ დონეზე ასე კატეგორიულად არ დასმულა საკითხები. ჯანსულ ბაგრატიონმა, კახი ასათიანმა, ომარ გოგიაშვილმა, ვაჟა შუბლაძემ, ფედერაციების ხელმძღვანელებმა, უფროსმა მწვრთნელებმა, თვით პარლამენტარებმა, რომელთა შორის ზურაბ ჟვანიას გარდა იყვნენ ელდარ შენგელაია, ნოდარ ამაღლობელი, ზაზა სიორიძე, მანუჩარ მაჩაიძე, გივი შუღაროვი, ერთსულოვნება გამოამჟღავნეს პრობლემებისადმი. აქ არ ყოფილა ერთი მხარის შეტევა მეორეზე ანუ თავდასხმა და თავდაცვა — იყო მსჯელობა საერთო სატკივარზე და ერთიანი ძალებით გამოსავალი გზების ძიებაზე.

გააჩნია თუ არა სახელმწიფოს სპორტში მიზანმიმართული პოლიტიკა? როგორც გამოირკვა, არ გააჩნია და იქნებ სწორედ ესაა ყველაფრის თავიდათავი. მაინც რა უნდა სახელმწიფოს სპორტისგან? თუ პასუხი გაეცემა ამ კითხვაზე, მაშინ გამოჩნდება მიზანი და გამოიკვეთება პოლიტიკაც.

„ჩვენ გვინდა ავაღორძინოთ და გავაღრმავოთ ტრადიციები, გვინდა ქვეყანაში მრავლად გვყავდეს ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები. გვინდა სპორტი ხელმისაწვდომი იყოს აგრეთვე ყველასთვის და ჩადგეს ერის გაჯანსაღების სამსახურში" — თქვა ჟურნალისტებთან გასაუბრებისას ზურაბ ჟვანიამ. ჩავთვალოთ, რომ ეს უკვე სახელმწიფო ინტერესებია და თუ მის სარეალიზაციოდ პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგმება, ქართული სპორტი ისევ იტყვის მქუხარე სიტყვას.

ცხადია, შეხვედრაზე, თუმცა პრიორიტეტი მხოლოდ სიდნეისთვის ქართველ ოლიმპიელთა სამზადისს უნდა მიკუთვნებოდა, სხვა პრობლემებზეც ბევრი ითქვა და იქნებ სწორედ ამიტომაც გამოდგა ეს შეხვედრა ასე საქმიანი და ალბათ, საბოლოო ჯამში, მომგებიანი. კიდევ ერთხელ დაისვა სპორტული ბაზების პრივატიზებაში ფრთხილი მიდგომის საკითხი. როცა ლაპარაკია თბილისის სპორტის სასახლის გასხვისებაზე და ახალ მეპატრონეთა ხელში ჩაგდების შემდეგ მოსალოდნელ მის ნაწილობრივ თუ სრულ ფუნქციურ ცვლილებაზე, სპორტის მუშაკებს, ვინც დღეს განაგებს ამ დარგს, უფლება არა აქვთ გულხელდაკრეფილნი დაელოდონ მოვლენების განვითარებას. სწორედ მათ ატეხეს განგაში თავის დროზე და ახლაც მთელი სიმწვავით დასვეს ეს საკითხი — პარლამენტარებს აუწყეს მომავალი საშიშროების შესახებ. „ქვეყანაში ერთადერთი სპორტის სასახლე, როგორც ქართული სპორტის უთვალსაჩინოესი კერა, მთლიანად უნდა დარჩეს სპორტს და გადაეცეს სპორტის დეპარტამენტს" — ასეთი იყო საერთო აზრი, რაც ზურაბ ჟვანიას სიტყვებმა — „წარმოუდგენელია ამ შენობის გაყიდვა" — კიდევ უფრო გაამყარა და, იმედი უნდა ვიქონიოთ, მისი ბედი ასე ხელაღებით აღარ გადაწყდება ქართული სპორტის საზიანოდ.

ვამთავრებთ მიმოხილვას და ყურში ჩაგვესმის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორის, პროფესორ ომარ გოგიაშვილის მიერ ამ შეხვედრაზე ნათქვამი სიტყვები: „თუ სახელმწიფომ სპორტს არ მიხედა, აქვს კი მას და, საერთოდ, საზოგადოებრიობას თუნდაც მორალური უფლება, ჩვენი სპორტისგან და სპორტსმენებისგან შედეგები მოითხოვოს?"

მართლაც...

მიმომხილველი

# ამ ასაკში ასეთი ტიტულოვანი სპორტსმენი ჯერ არ გვყოლია







გიგა კორძაძე ასპარეზობებისას; ზედა სურათზე – მარცხნივ, შუაში და ქვედა სურათებზე – მარჯვნივ.

(პირველი გვერდიდან)

ლანდურ კრივში. გუშინ გიგა „ლელოს" სტუმარი იყო.

● **გიგა, ცურვას მოზარდები შემთხვევით არ მიატოვებენ ხოლმე, რა ვითარებაში აღმოჩნდი ახალი არჩევანის წინაშე?**

– მამამ ძიუდოზე გამამწესა ბიძინა მაზიაშვილთან. ერთხელ კი ჩემმა ნათესავმა მიშიკო ძაგნიძემ, თავის ვარჯიშზე წამიყვანა გოჩა ჯავახიასთან. სიმართლე გითხრათ, ნამდვილად მომეწონა იქაური ატმოსფერო და გადავწყვიტე მეც მევარჯიშა.

● **პირველმა წარმატებამ ძალიან დააგვიანა?**

– სულაც არა, თქვენ წარმოიდგინეთ, ორი კვირის თავზე მწვრთნელმა უკვე საასპარეზოდ გამიყვანა კიკბოქსინგში და უმალვე III საპრიზო ადგილი დავიკავე.

● **სულ ბოლო გამარჯვება სად მოიპოვეთ?**

– გერმანიაში, სადაც ევროპის ჩემპიონატი გაიმართა კიკბოქსინგში. ეს იყო ამ თვის პირველ დეკადაში.

● **დიახ, თქვენ იქ ჩემპიონი გახდით. რამდენი მეტოქე იბრძოდა უძლიერესის სახელის მოსაპოვებლად თქვენს წონაში?**

– 35, პირველსავე ბრძოლაში თურქს ვძლიე ნოკაუტით, შემდეგ აშკარა უპირატესობით მომანიჭეს გამარჯვება უკრაინელთან და ნორვეგიელთან შეხვედრაში. ფინალში ჩემი მეტოქე იყო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი გერმანელი კისტენსვენი. ყველას ეგონა, რომ გაიმარჯვებდა მასპინძელი, არც მსაჯები ფარავდნენ მის მიმართ სიმპათიებს, მაგრამ მესამე რაუნდში ნოკდაუნში გავგზავნე მეტოქე, რისი დაუნახაობა უკვე შეუძლებელი იყო. ამასთან, ჩემპიონატის საუკეთესო მებრძოლად მაღიარეს და საგანგებო პრიზიც გადმომცეს.

● **როგორც შევიტყვეთ, უცხოეთში გეპატიჟებიან...**

– კი, მქონდა რამდენიმე მიწვევა, ბერძნებმა, მაგალითად, წინადადება შემომთავაზეს მხოლოდ კრივში ვივარჯიშო და ოლიმპიური თამაშებისთვის მოვემზადო.

● **რა თქმა უნდა, ოლიმპიური სარბიელი მაცდუნებელია...**

– არა, საქართველოდან წასვლას არ ვაპირებ, ოჯახიც ამ აზრისაა. ოლიმპიურ თამაშებში, იმედია, კიკბოქსინგსაც შეიტანენ.

● **ამჟამად თუ სწავლობთ?**

– დიახ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის პირველ კურსზე ვსწავლობ ქიმიური ექსპერტიზის განხრით.

● **თავისუფალ დროს როგორ იყენებთ?**

– ძირითადად მუსიკას ვუსმენ, ჩემთვის ეს სამყაროც ახლობელი გახდა.

ესაუბრა
ც. ბაქრაძე

# სეოკ-ის სესია

## პირველი შემთხვევა იყო, როცა სეოკ-ის სესიაზე კაცი გამოვიდა ტრიბუნაზე და განაცხადა: „ჩვენ დავეხმარებით ოლიმპიელებს"

ეს კაცი გია აბესაძე გახლავთ, აღორძინებით ახლახან დაფუძნებული სპორტული მედიცინის ფედერაციის პრეზიდენტი და მედიცინის დარგის ცნობილი ორგანიზატორი, ამჟამად საქართველოს შსს სამედიცინო სამსახურის უფროსი. ფაქტია, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში ყველაზე კეთილმოწყობილი და აღჭურვილი კლინიკები თუ პოლიკლინიკები სწორედ ამ სისტემას გააჩნია და რაოდენ სასიხარულო იყო, როცა გ. აბესაძემ სესიაზე შეკრებილთ აუწყა, რომ ამიერიდან, საქართველოს ყველა ოლიმპიელს ვინც სხვადასხვა დროს თამაშებში მონაწილეობდა, შსს სამედიცინო სამსახურის ობიექტები გაუწევენ უფასო მომსახურებას. ცხადია, დარბაზი ამ განცხადებას ოვაციით შეეგება.

სესიაზე 1998 წლის ანგარიშით წარსდგა სეოკ-ის თავმჯდომარე ჯანსულ ბაგრატიონი, ხოლო ზამთრის XVII ოლიმპიურ თამაშებში ჩვენების გამოსვლის შედეგებზე ილაპარაკა ფედერაციის თავმჯდომარემ გოგი თოფაძემ. იგი შეეხო პრობლემებს და საიმედო პერსპექტივაზეც ისაუბრა, რაც ძირითადად ბაკურიანის აღდგენა-აღორძინებას და ახალ განაშენიანებას უკავშირდება.

1999 წელს ჩატარდება საქართველოს მეორე სპორტული თამაშები, რომელიც სიდნეისთვის ოლიმპიელთა მზადების ციკლში შევა. ეს თამაშები 1991 წლის შემდეგ აღარ გამართულა და, ცხადია, მისი აღორძინება მისასალმებელია.

როგორც წესი, ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების პერიოდშივე ინიშნება ოლიმპიური ატაშე იმ ქალაქში, სადაც ოლიმპიადა იმართება, საორგანიზაციო კომიტეტთან თანამშრომლობის ამ ფუნქციას კარგა ხანია ასრულებს ჩვენი სახელოვანი ათლეტი, ლეგენდარული მძლეოსანი ვიქტორ სანეევი, რომელიც ბოლო წლებია სიდნეიში ცხოვრობს, ახლა სესიამ ოფიციალურად დაამტკიცა მისი კანდიდატურა.

ასევე ორი წლით ადრე მაინც, აუცილებელია დამტკიცდეს მონაწილე ქვეყნის ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელი თამაშებში. სესიაზე წამოაყენეს ოლიმპიადების ოთხგზის მონაწილის, ცნობილი მესტენდურის, სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტის თამაზ იმნაიშვილის კანდიდატურა. ცხადია, ამ შესანიშნავი პიროვნების ღირსებებში იოტისოდენი ეჭვიც არავის ეპარება და არც მისი კანდიდატურა გახდებოდა სადავო, ერთი გარემოება რომ არა — თამაზ იმნაიშვილი ჩვენს სპორტულ სამყაროს და ქვეყანას ისევ ოლიმპიადის მონაწილედ ეიმედება. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ კახი ასათიანმა სწორედ ეს საკითხი წამოწია და მოითხოვა დაზუსტებულიყო, იმნაიშვილი აპირებს თუ არა ბრძოლას სიდნეის თამაშებისთვის ლიცენზიის მოსაპოვებლად. ეს უკვე ასე სპონტანურად გადასაწყვეტი არ იყო და სესიამ კვლავ აღმასკომს დაავალა გადაეხედა თავისი გადაწყვეტილებისთვის. სამწუხაროდ, კანდიდატურის წარდგენის ვადა მალე იწურება.

სესიამ განიხილა სხვა საკითხებიც.

სააგენტო „ბუმათე"

# ფრენბურთი ლიდერია მსოფლიოში

***იაპონიის 16 ქალაქში ერთ თვეზე მეტს გაგრძელდა მსოფლიო ჩემპიონატი ფრენბურთში ვაჟთა და ქალთა გუნდებს შორის. ეს უნიკალური შემთხვევაა, როცა ამდენ ქალაქში იმართება და ამდენ ხანს გრძელდება ფრენბურთელთა შეჯიბრება. ჩემპიონატის დღეებში ჩატარდა საერთაშორისო ფედერაციის (FIVB) კონგრესი, რომელმაც თითქმის რევოლუცია მოახდინა სპორტის ამ სახეობის 100-წლიან ისტორიაში. კონგრესის მუშაობაში საქართველოდან მონაწილეობდნენ ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ავთანდილ ხილაგაძე და გენერალური მდივანი ედუარდ სანთელაძე, რომელიც დღეს „ლელოს" სტუმარია.***

● **ბატონო ედუარდ, კონგრესის მუშაობის დღეებში მსოფლიო საინფორმაციო საშუალებები იტყობინებოდნენ სენსაციურ ცვლილებებზე, ვიცით, რომ შეიცვალა წესები, კიდევ რა საკითხებს განიხილავდით?**

— კონგრესზე აღინიშნა, რომ საერთაშორისო ფედერაცია ამჯერად აერთიანებს 218 ქვეყანას. ამ მაჩვენებლით ფრენბურთი №1 სპორტის სახეობად იქცა მსოფლიოში. შეგიძლიათ ეს ერთ სენსაციად მიითვალოთ. პრეზიდენტად მეხუთედ აირჩიეს მექსიკელი რუბენ აკოსტა, რაც თავისებური იშვიათობაა. ამ კაცს დიდი დამსახურება მიუძღვის ფრენბურთის განვითარებასა და ავტორიტეტის ამაღლებაში. მისი მოწადინებით გახდა საპლაჟო ფრენბურთი ოლიმპიური სახეობა.

● **ფრენბურთი, როგორც თქვით, ყველაზე მასობრივ სპორტის სახეობად იქცა დღეს ჩვენს პლანეტაზე, შესაბამისად თუ გაიზრდება სპორტული ასპარეზობები?**

— ჯერ იმას გეტყვით, რომ კონგრესი ჩატარდა დევიზით მასობრიობა და ოსტატობა და პროფესიონალიზმი ოსტატობის ასამაღლებლად და პროფესიონალად ჩამოსაყალიბებლად, ცხადია, სხვადასხვა ასპარეზობებში მონაწილეობაა საჭირო. სიახლე ისიცაა, რომ ყოველწლიურად ჩატარდება „მსოფლიო ლიგა" პროფესიონალთა მონაწილეობით. სხვათა შორის, უკვე ფრენბურთშიც ჩნდებიან მილიონერები, სხვადასხვა ტურნირს მათთვის დიდი შემოსავალი მოაქვს.

● **მასობრიობა კი, მაგრამ მოყვარულებმა რაღა ჰქნან?**

— კონგრესმა მიიღო დადგენილება და შემოღებულია ახალი სისტემა 4X4-ზე ღია მოედნებზე, მათ შორის პარკებში. საინტერესოა, რომ ამ სისტემით ჩატარდება საერთაშორისო შეჯიბრებები და დადგენილია სიმაღლის ზღვარი — ქალებისთვის 180, ვაჟებისთვის — 185 სმ-მდე.

● **გამოდის, რომ უფრო მაღლები დაიჩაგრებიან?**

— არა, ისინი ითამაშებენ სხვა სისტემით. ზემოხსენებული ზღვარი დადგენილია დაბალტანიანებისთვის, რომ არ დაიჩაგრონ. მაღლებისთვის კი უამრავი შეჯიბრებაა, მათ შორის პროფესიული რანგის.

● **რაც თქვით, საპლაჟო ფრენბურთზეც ვრცელდება?**

— არა, იქ ყველაფერი ძველებურად დარჩა, მაგრამ საპლაჟო ფრენბურთში სხვა ცვლილებები მოხდა.

● **კონკრეტულად?**

— კონგრესმა მიიღო დადგენილება წევრ ქვეყნებში შეიქმნას საპლაჟო ფრენბურთის ეროვნული დეპარტამენტი. ცხადია, ეს ჩვენც გვეხება.

● **გამოდის, რომ მალე ახალ ხელმძღვანელს აირჩევთ, როგორია სტრუქტურა?**

— ჯერ მინდა გითხრათ, რომ ხსენებული დეპარტამენტი ჩვენი ეროვნული ფედერაციის სტრუქტურაში შევა და დეპარტამენტის ხელმძღვანელების შერჩევაზე გამოცხადდება კონკურსი.

● **დავუბრუნდეთ ახალ წესებს, ცხადია, დაწვრილებით ყველაფერზე ვერ ვისაუბრებთ, მაგრამ იქნებ ძირითად ცვლილებებზე გვითხრათ.**

— ახალი წესებით ყველა გათამაშება პარტიაში მთავრდება ქულით. პარტია ითვლება მოგებულად თუ გუნდმა დააგროვა 25 ქულა, მაგრამ აუცილებლად 2 ქულის სხვაობით (24:24 გაგრძელდება 26-მდე და ა.შ.). ეს წესი ეხება პირველ ოთხ პარტიას, თუ 2:2-ია, მეხუთე პარტია გათამაშდება 15 ქულამდე, სხვაობა კი ისევ ორი ქულა უნდა იყოს, გუნდს უფლება აქვს გამოიყვანოს ლიბერო, მწვრთნელს შეუძლია მიუთითოს მოთამაშეებს პირით ხაზთან სიარულით ან ადგილიდან, შემოღებულია ფერადი ბურთები, იკრძალება შუა ხაზზე დაბიჯება და გამკაცრდა სანქციები არასპორტული ქცევისათვის... ახალი წესები 1999 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.

● **რამ გამოიწვია ცვლილებები წესებში?**

— ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ფრენბურთი ძველი წესებით ვერ ჯდებოდა სატელევიზიო გადაცემების გარანტირებულ დროში, ზოგჯერ თამაში გრძელდებოდა 1-3 საათს. ახალი წესით კი თამაში 90-105 წუთი გაგრძელდება, რაც ხელს აძლევს ტელევიზიას, ფრენბურთი კი დიდ შემოსავალს მიიღებს.

● **დოპინგკონტროლზე თუ იყო მსჯელობა?**

— როგორ არა, კონტროლი დოპინგზე განსაკუთრებით გამკაცრდება. გააძლიერეს აგრეთვე სექსკონტროლი. ეროვნულ ფედერაციებს დაავალეს ასეთი შემოწმებები თავიანთ ქვეყნებშიც ჩაატარონ.

● **პირადად თქვენ FIVB-ს მსაჯის ბრძანდებით, რამდენადაც ვიცით, ასაკის გამო უკვე დაასრულეთ მსაჯობა.**

— კონგრესზე მეც და რამდენიმე კოლეგას გაცილება მოგვიწყვეს და ფრენბურთის 100 წლისთავის საიუბილეო ოქროს მედლით დაგვაჯილდოვეს.

● გილოცავთ!

ესაუბრა თ. თომაშვილი



ედუარდ სანთელაძე (მარცხნივ) ოქროს მედალს გადასცემენ

# ბესარიონ მჭედლიშვილი: ზრუნვა-თანადგომამ ორიენტირი გამოკვეთა — I ჯგუფი!


შსს აკადემიის ფეხბურთელთა გუნდი აკადემიის ხელმძღვანელებთან და მწვრთნელებთან

**„შსს აკადემიის" საფეხბურთო კლუბს ჯერ კიდევ გათამაშების დაწყებამდე უწინასწარმეტყველებდნენ მეორე ჯგუფის აღმოსავლეთ ზონაში გამარჯვებას. ეს პროგნოზი უკვე ნაწილობრივ ახდა — მომავალი პოლიციელების გუნდმა დამაჯერებლად მოიგო პირველი წრე და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გაზაფხულზე ყველა ძირითად კონკურენტს შინ მიიღებს, სავსებით რეალური ხდება მთავარი მიზნის ხორცშესხმა — პირველი ჯგუფის საგზურის მოპოვება. გუნდის წარმატებაში, ცხადია, დიდია მთავარი მწვრთნელის — ბესარიონ მჭედლიშვილის წვლილი. სანამ მასთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ, მოკლედ გაგახსენებთ ბიოგრაფიულ ცნობებს. დაიბადა 1949 წლის 21 ოქტომბერს, თბილისში. დაამთავრა თსუ-ს ეკონომიკური და იურიდიული ფაკულტეტები. შსს ორგანოებშია 1978 წლიდან, არის პოლიციის პოლკოვნიკი. 1969-75 წლებში გამოდიოდა თბილისის „დინამოში". არის სპორტის ოსტატი, 1970 წლის საკავშირო თასის გათამაშების ფინალისტია, 1971-72 წლების სეზონის ბრინჯაოს პრიზიორია. 1973 წლის „კარაველას" თასის მფლობელია. „შსს აკადემიის" გუნდში მუშაობს 1996 წლიდან. ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი — ნინო და არჩილი. ცხადია, ეს უკანასკნელი ფეხბურთს თამაშობს.**

● *თუ შეიძლება გვითხარით, „შსს აკადემიის" გუნდის სათავეში თქვენი მოსვლა რას უკავშირდება?*

— მას შემდეგ, რაც აქტიურ სპორტს ჩამოვშორდი, უშუალოდ ბატონ შოთა გორგოძის რეკომენდაციით დავიწყე მუშაობა მილიციაში. იცით, ალბათ, როგორი კრისტალური პიროვნებაა ეს კაცი, როგორ უყვარს ქართული სპორტი, განსაკუთრებით, ფეხბურთი: ჯერ კიდევ შსს მინისტრის მოადგილეობის და შემდგომში მინისტრის თანამდებობებზე ყოფნის დროს, ბევრი ცნობილი სპორტსმენია მიღებული მილიციის რიგებში. ისინი დღესაც წარმატებით მუშაობენ სხვადასხვა საპასუხისმგებლო უბანზე და არასოდეს ღალატობენ თავიანთ რეკომენდატორს. აკადემიის ფეხბურთელთა გუნდიც პირადად გორგოძის ინიციატივით შეიქმნა. გახსოვთ, ალბათ, სხვადასხვა დროს აქ მწვრთნელებად მუშაობდნენ მიშა ჯარმელაშვილი, შოთა ჭეიშვილი. ერთხელ, ეს იყო 1996-97 წლების საფეხბურთო სეზონის წინ, დიღმის საწვრთნელ ბაზაზე შევხვდი ბატონ შოთა გორგოძეს, რომელმაც მთხოვა სათავეში ჩავდგომოდი გუნდს. აბა, უარს როგორ ვეტყოდი ჩემი ცხოვრების ავტორიტეტს?

● *კოლექტივში გულთბილად მიგიღეს?*

— „შსს აკადემია" ძირითადად დაკომპლექტებული იყო აკადემიის კურსანტებით. რასაკვირველია, დრო დამჭირდა, რათა შემესწავლა თითოეული ფეხბურთელის შესაძლებლობები, ყველა ხომ ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს. ჯერ ვცდილობდი გუნდის შემადგენლობის ოპტიმალური ვარიანტის დადგენას, სათამაშო რგოლების შეკავშირებას. თანდათან გამოიკვეთა გუნდის ხელწერა, სათამაშო სტილი. იმ სეზონში საპატიო VI ადგილი დავიკავეთ და უკვე შემდეგი, 1997-98 წლის სეზონში გაცილებით უკეთეს შედეგს ვგეგმავდით, მით უმეტეს, მოვიწვიეთ გამოცდილი ფეხბურთელები დავით ბახტაძე და დავით გოდერძიშვილი. მართლაც, გათამაშების მსვლელობისას ლიდერთა ჯგუფში ვიმყოფებოდით, მაგრამ მოხდა უსიამოვნო ფაქტი: თბილისის არმიელებთან პრინციპულ მატჩში ტენდენციური მსაჯობით უკმაყოფილო ერთ-ერთმა უცნობმა ვაიგულშემატკივარმა შეხვედრის არბიტრს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და ვინაიდან მასპინძელთა როლში ჩვენ ვიმყოფებოდით, სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტმა 5 ქულა ჩამოგვაკლო. ამან წელში გაგვტეხა და საბოლოოდ V ადგილს დავჯერდით.

● *წლეულს ერთპიროვნული უპირობო ლიდერები ხართ...*

— მართლაც, პირველი წრის შედეგით კმაყოფილი ვართ — ყველა მატჩი მოვიგეთ გარდა ორისა (ერთი — ფრე და ერთიც — წაგება). და ეს, მიუხედავად იმისა, რომ სეზონის დაწყებამდე გუნდი დატოვეს წამყვანმა ფეხბურთელებმა — გიორგი ჭანკოტაძემ, ლევან კვიციანმა, აკაკი კაკაშვილმა, დათო გოდერძიშვილმა. სამაგიეროდ, მივიღეთ ახალგაზრდა, პერსპექტიული მოთამაშეები — ლევან ხაბულიანი, მალხაზ ბურდული, ირაკლი ბოგვერიძე, ანდრო კირვალიძე, სპარტაკ არჩვაძე. ისინი კარგად შეერწყნენ გუნდს და შედეგმაც არ დააყოვნა.

● *განსაკუთრებით, რომელი მატჩს გამოყოფდით?*

— შთამბეჭდავი და სანახაობრივად საინტერესო მატჩი ვითამაშეთ ძველ ანაგაში. თქვენც ხომ ესწრებოდით ამ შეხვედრას? გახსოვთ, როგორი უკომპრომისო ორთაბრძოლა ვიხილეთ?

● *ისიც მახსოვს, პირველ ტაიმში უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, მაგრამ შესვენებაზე იღბლიანი შეცვლებით თამაში შემოატრიალეთ.*

— ჰო, იყო ასეთი რამ, მაგრამ ყოველივე მხოლოდ ჩემი დამსახურება არაა, კვალიფიციურად მეხმარებიან თანაშემწეები.

● *მსაჯობაზე რა აზრისა ხართ?*

— სფფ-ს მსაჯთა კორპუსში არიან გამოცდილი და კვალიფიციური კადრები. ისინი ყველაფერს უძლებენ — უტრანსპორტობას, ცუდ კვებას, არარაციონალურ კვებას, ზემოქმედებას მასპინძელი გუნდისა და მაყურებლის მხრიდან, განსაკუთრებით ეს რაიონებზე ითქმის. დამეთანხმებით, ალბათ, თბილისში მსაჯობის ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე სხვაგან, რაც მრავლისმეტყველია...

● *ლიდერთან ყველა გუნდი განსაკუთრებული მობილიზებით იბრძვის.*

— მართალი ბრძანდებით, ლიდერის წინააღმდეგ გაორმაგებული ძალებით იბრძვიან, ეს მათი პრესტიჟის ამაღლებას უწყობს ხელს. ამიტომ, ვიცით, რომ მეორე წრეში ცხარე ბრძოლების გადატანა მოგვიწევს.

● *ვისი თანადგომის იმედი გაქვთ ასეთ საპასუხისმგებლო ეტაპის წინ?*

— როცა ირგვლივ ასეთი დუხჭირი ცხოვრებაა, გუნდის შენახვა ძნელი საქმეა, მაგრამ გვეიმედება, რომ გვერდში გვიდგას მთელი აკადემია ბატონი შოთა გორგოძის მეთაურობით. ასევე არ შემიძლია არ აღვნიშნო მისი მოადგილის ბადურ ჭანტურიშვილის ძალისხმევა. ჩვენ, „შსს აკადემიის" მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს გვწამს, რომ ასეთ ზრუნვას მათ ღირსეულად დავუფასებთ და გაისიდან პრველი ჯგუფის ბინადარი გავხდებით.

ესაუბრა
ჯემალ ჭიკაშვილი

## ქართული ფეხბურთის ტრანსფერები კიდევ ორ თვეს გაგრძელდება

● **როგორც** მოსალოდნელი იყო, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი ***გიორგი რევაზიშვილი,*** რომელიც წლეულს სამარის „კრილია სოვეტოვის" ღირსებას იცავდა (შეგახსენებთ, მანამდე იგი გორის „დილაში" გამოდიოდა), ამიერიდან იაროსლავლის „შინიკში" ითამაშებს.

● **რუსული** პრესის ცნობებით, მეტად არამყარ ფინანსურ მდგომარეობაში ჩავარდნილი სოჭის „ჟემჩუჟინას" მწვრთნელებს და ფეხბურთელებს ახალ კლუბში გადასვლა გადაუწყვეტიათ. მათ შორისაა ყოფილი ცხუმელი ნახევარმცველი ***გიორგი გოგიაშვილი.*** იგი ქუთაისის „ტორპედოსთან" ეწეოდა მოლაპარაკებას, მაგრამ, ეტყობა, ამ გუნდის ხელმძღვანელობის შემოთავაზებული პირობები სახარბიელო არ იყო, ამიტომ ფეხბურთელი უფრო ხელსაყრელ — ფოთელთა გუნდის პირობებს განიხილავს ამჟამად.

● **„კოლხეთი-1913"** დატოვა მთავარმა მწვრთნელმა ***სოსო ფილიამ.*** იტყობინებიან, რომ მის ადგილზე იმუშავებს ვეტერანი ფეხბურთელი ***ჯუნგლი ტყებუჩავა.***

● **ქუთაისის** ტორპედოელი ***ზურაბ იონანიძე*** ახალი კლუბის ძიებაშია. მან უარი განაცხადა გაეგრძელებინა ქუთათურთა შემოთავაზებული კონტრაქტი — საქართველოს ერთ-ერთი, საუკეთესო გოლეადორი მიიჩნევს, რომ უკეთესი პირობები ეკუთვნის. ამბობენ, „ტორპედოს" უკვე დაუგულებია მისი შემცვლელი — გორელი ***ალეკო კაიდარაშვილი.*** ისიც შევიტყვეთ, რომ ქუთაისის „ტორპედოდან" საკუთარი ნება-სურვილით წასული მარცხენა მცველი ***გია ჩხაიძე*** ვლადიკავკაზის „ალანიაში" ისინჯება.

● **დღეს,** 25 დეკემბერს, დღის 12 საათზე საკუთარ, დიღმის საწვრთნელ ბაზაზე შეიკრიბება და სამეორეწრეო მზადებას შეუდგება ჩვენი ქვეყნის უცვლელი ჩემპიონი თბილისის „დინამო". ამრიგად, საბოლოოდ გაირკვევა გუნდში წამსვლელ-დამრჩენთა ვინაობაც. მოსალოდნელ ცვლილებებზე „ლელომ" ადრეც არაერთი ინფორმაცია მიაწოდა მკითხველს. რამდენიმეზე ახლაც გეტყვით. „დინამოსთან" ორწლიანი კონტრაქტები უკვე გააფორმეს ყოფილმა ქუთაისის ტორპედოელებმა ***პაატა ჯინჭარაძემ*** და ***ირაკლი ვაშაკიძემ,*** ამბობენ მზადაა ხელმოსაწერად ***შალვა ხუჯაძის*** ერთწლიანი ხელშეკრულებაც. რაც შეეხება სხვა ექსტორპედოელ მოთამაშეებს — ***გიორგი ყიფიანისა*** და ***კონსტანტინე მეტრეველის*** საკითხს, ჯერჯერობით მათი მომავალი ბუნდოვანია: ჩვენამდე მოღწეული ინფორმაციით, ისინი ბერძნულ კლუბებში არიან გასინჯვაზე.

● **მეორე** წრისათვის მზადებას შეუდგა წყალტუბოს „სამგურალიც". გუნდი ექვსმა ფეხბურთელმა დატოვა, მათ შორის — ზვიად სტურუამ, ლევან ფილიპაშვილმა, თემურ უგულავამ, დავით ჭელიძემ, თემურ ფაიქიძემ და მალხაზ თევდორაძემ. მათ ნაცვლად კოლექტივში, ალბათ, ჩაირიცხებიან რუსთაველები ვარლამ კილასონია და ალექსანდრე ბურნაძე, ყოფილი დინამოელი დავით პეტრიაშვილი, ჭაბუკთა ნაკრების წევრი კახა ახალაძე, კოლხი დავით ნოზაძე.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### გოლები ვერ გააქვს და ვერც ჰყიდიან

როცა ზაფხულში ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტმა" თავისი განთქმული ჩილელი თავდამსხმელი მარსელო სალასი რომის „ლაციოს" მიჰყიდა, მის ნაცვლად „ბარსელონიდან" მიიწვია ექსარგენტინელი, 32 წლის ხუან ანტონიო პიცი, რომელშიც 2,3 მილიონი დოლარი გადაიხადეს.

პიციმ ოდესღაც თავისი კარიერა არგენტინულ „როსარიო სენტრალში" დაიწყო, შემდეგ მექსიკურ „ტოლუკაში", ესპანურ „ტენერიფესა", „ვალენსიასა" და „ბარსელონაში" გამოდიოდა. მან მიიღო ესპანეთის მოქალაქეობა და მის ნაკრებშიც არაერთხელ ითამაშა.

აი, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი ვეტერანმა უკვე ველარ გამოიჩინა თავი. მან „რივერ პლეიტში" ჩატარებულ 23 მატჩში მხოლოდ 9 გოლი გაიტანა, რაც მისთვის ძალიან ცოტად ჩაითვალა. პიცის გვარი „ტრასფერ-ლისტზე" გამოჩნდა. მისი შეძენა ლონდონის „ჩელსიმ" მოისურვა, იგი ეძებს მძიმედ დაშავებულ პიერლუიჯი კაზირაგის შემცვლელს, რომელიც შესაძლოა ვეღარც დაბრუნდეს მინდორზე. მიუხედავად იმისა, რომ „ჩელსი" „რივერ პლეიტს" პიციში 3 მილიონ დოლარს სთავაზობდა, არგენტინელებმა ეს თანხა ცოტად ჩათვალეს და მოლაპარაკებაც შეწყდა.

### «ლუქსემბურგო სჯობს ზაგალოს»

ასე ფიქრობს ბრაზილიის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელი რივალდო.

— თუკი ახლანდელ ნაკრებს იმას შევადარებთ, საფრანგეთში რომ თამაშობდა, ახალი აუცილებლად უკეთესია. აქ უფრო თავისუფლად ვგრძნობთ თავს. ზაგალო ჩვენთვის შეუფერებელი მანერით გვაიძულებდა თამაშს. ახლა მშვენიერი პირობებია: მიიღე ბურთი და იმოქმედე, როგორც გინდა. ადრე ამის საშუალებას ვინ გვაძლევდა. ლუქსემბურგომ მოგვცა ეს თავისუფლება და სწორადაც მოიქცა, ეს საქმეს უფრო გამოადგება. როცა თამაშიდან სიამოვნებას განიცდი, ცხადია, მეტს გააკეთებ.

### გარინჩა — ფიფას «დიდების დარბაზში»

გარინჩას ჩართვა „დიდების დარბაზში" სამართლიანობის აღდგენის აქცია — ასე მიაჩნიათ ბრაზილიელ მიმომხილველებს, რომლებიც მიესალმნენ ფიფას გადაწყვეტილებას. „გარინჩა მარტო დიდი ფეხბურთელი როდია. იგი იმ სიხარულის სიმბოლოა, რომელსაც ფეხბურთი ადამიანებს აძლევს". სწორედ ამის გამო იყო, რომ რიო-დე-ჟანეიროში, გიგანტურ სტადიონ „მარაკანას" მთავარ შესასვლელთან დადგეს გარინჩას ბიუსტი ასეთი წარწერით: „გარინჩას — ხალხის


1962 წლის 17 ივნისი. ლეგენდარული ბრაზილიელი მარჯვენა გარემარბი მანუელ ფრანცისკო დოს სანტოსი (გარინჩა) ჩილეს ჩემპიონატში მოპოვებული მსოფლიო თასით („ოქროს ნიკე").

სიხარულს". როცა ფიფამ 1997 წელს შექმნა „დიდების დარბაზი", რათა შენარჩუნებული ყოფილიყო XX საუკუნის ყველაზე გამოჩენილი ფეხბურთელების ხსოვნა, დასაწყისში გარინჩასათვის ადგილი არ აღმოჩნდა. ამან მთელ მსოფლიოში დიდი პოლემიკა გამოიწვია. ბევრმა ბრაზილიელმა გარინჩა „საუკუნის სპორტსმენად" მიიჩნია და პელეზე წინ დააყენა. ახლა კი, როგორც წერს „ჟურნალ დო ბრაზილი", „სამართლიანობამ გაიმარჯვა".

### სტუმრად ვატიკანში

რომის პაპმა იოანე პავლე II-ემ აუდიენცია მოუწყო მსოფლიოსა და იტალიის ნაკრებების ფეხბურთელებს. მათ გარდა, შეხვედრას ესწრებოდნენ ფიფას, უეფასა და იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტები იოზეფ ბლატერი, ლენარტ იუხანსონი და ლუჩანო ნიცოლა. აქვე მოულოდნელად გამოჩნდა იოჰან კრუიფი, რომელსაც ძალზე შეერყა ჯანმრთელობა, ორი ინფარქტი გადაიტანა. მიმომხილველთა აზრით, იგი იმიტომ მოვიდა ვატიკანის სასახლეში, რომ ღმერთს სთხოვოს გულის ავადმყოფობისაგან განკურნება და, ვინ იცის, შეიძლება „ბარსელონაში" დაბრუნებაც.

საინტერესოა, რომ ფეხბურთელებს შორის იყო მაჰმადიანი — ლიბერიელი ვეა: „ღმერთი ყველასათვის ერთია. მას სხვადასხვანაირად შეიძლება სცე თაყვანი. მე ამას ვაკეთებ კიდეც და ღმერთიც მშველის". ვატიკანის სასახლეში არანაკლებ ეგზოტიკურად გამოიყურებოდა იაპონელი ხიდეტოსი ნაკატა.

რომის პაპმა იოანე პავლე II-ემ (ერისკაცობაში კარელ ვოიტილამ), რომელმაც კარგად იცის ფეხბურთი, მოთამაშეებს თითოეულს მათ ენაზე მიმართა.

### გერეტსი — «ეინდჰოვენის» ახალი მწვრთნელი

როდესაც დიკ ადვოკაატი შარშანდელი სეზონის დამთავრების შემდეგ „პსვ ეინდჰოვენიდან" „გლაზგო რეინჯერსში" გადავიდა, ჰოლანდიური კლუბის ხელმძღვანელობას მის ნაცვლად ბელგიელი ერიკ გერეტსის მიწვევა უნდოდა. გერეტსმა მაშინ დროებით თავი შეიკავა, რადგან „ბრიუგესთან" კონტრაქტი ჯერ დამთავრებული არ იყო.

ამიტომ მოინახა კომპრომისული ვარიანტი: მიიწვიეს ინგლისელი ბობი რობსონი, რომელსაც თვით არ სურდა „ეინდჰოვენში" ერთ სეზონზე მეტ ხანს გაჩერება.

ამ დღეებში გაფორმდა ხელშეკრულება ერიკ გერეტსთან, რომელიც „ეინდჰოვენს" სათავეში ახალი სეზონიდან ჩაუდგება.

### ზამერის დაბრუნება შესაძლებელია?

როგორც დორტმუნდის „ბორუსიის" მწვრთნელმა მიხაელ სკიბემ განაცხადა, მათიას ზამერის გამოჯანმრთელების პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს და ამ სეზონში გერმანული ფეხბურთის 90-იანი წლების ვარსკვლავი ვერ დაუბრუნდება მინდორს.

— იგი დიდი ხანია მკურნალობს და როცა კაცს 15 თვის მანძილზე არ ურბენია, დაგვეთანხმებით, მალე ვერ შეუდგება თამაშს.

უკანასკნელი წლის მანძილზე ზამერმა მუხლის 5 (!) ოპერაცია გადაიტანა. მისი კონტრაქტი სწორედ ამ სეზონის ბოლოს მთავრდება და თუ ევროპის 1996 წლის საუკეთესო ფეხბურთელი მაინც ვერ გამოჯანმრთელდა, მაშინ დორტმუნდის „ბორუსიამ" მას შემცვლელი უნდა მოუნახოს.

### ედმუნდოს მოეწყინა ევროპაში

იტალიის ჩემპიონატის ლიდერი, „ფიორენტინას" ბრაზილიელი ფავდამსხმელი ედმუნდო ამ დღეებში რიო-დე-ჟანეიროში იმყოფებოდა, სადაც თავისი ყოფილი კლუბის „ვასკო და გამას" ხელმძღვანელობას შეხვდა. როგორც გამოირკვა, ფორვარდს სამშობლოში დაბრუნება სურს.

— ჩვენთვის არა აქვს მნიშვნელობა, იგი კარგად თამაშობს ევროპაში თუ ცუდად. გვინდა მომავალ წელს ედმუნდო ჩვენს გუნდში ვიხილოთ — განაცხადა „ვასკო და გამას" ვიცე-პრეზიდენტმა ეურიკო მირანდამ. რაც შეეხება თვით „მხეცს" (ასეთია ედმუნდოს მეტსახელი), მას სურს მხოლოდ ორი მაისური ეცვას: „ვასკო და გამასი" და ბრაზილიის ნაკრებისა.

### «ბარსელონაში» ითამაშებს... მომავალ საუკუნეში

როგორც საფრანგეთის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის" მოთამაშემ ზინედინ ზიდანმა განაცხადა, იგი შეეცდება შემდეგში „ბარსელონაში" გამოვიდეს, მაგრამ ეს 2000 წლამდე არ მოხდება.

ამასობაში „იუვენტუსის" მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ გამოაცხადა, რომ „ბებერ ქალბატონს" უკვე 5 სეზონია წვრთნის და ეს მეხუთე წელი ნამდვილად უკანასკნელი იქნება.

ამასთან, ჯერჯერობით ნათელი არ არის, სად აპირებს ლიპი გადასვლას. იტალიელი მიმომხილველები რამდენიმე ვარიანტს ასახელებენ, მათ შორის „ინტერსა" და „ლაციოს".

FIFA MAGAZINE INTERVIEW

## ექსკლუზიური ინტერვიუ ფიფას პრეზიდენტთან

# ზეპ ბლატერი თავისი პროგრამის შესახებ

მას შემდეგ, რაც წლეულს, 8 ივნისს ფიფას ახალი პრეზიდენტი აირჩიეს, იგი პრესის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. მაგრამ მასმედიამ მასთან მეგობრული დამოკიდებულების მიუხედავად ბლატერი ვერ დაიყოლია ინტერვიუებზე. მიუხედავად ამისა ერთ-ერთ ასეთ თხოვნაზე მან უარი ვერ თქვა — გაპრეზიდენტების შემდეგ ზეპ ბლატერმა პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ექსკლუზიური ინტერვიუ "FIFA MAGAZINE"-ს მისცა.



● ***ბატონო პრეზიდენტო, თქვენი 11-პუნქტიანი პროგრამა განსაზღვრავს აგრეთვე ფიფასა და ფეხბურთის მომავალს, თქვენ იგი ფიფას აღმასრულებელ კომიტეტს წარუდგინეთ და პრესასაც. ეს ალბათ არააუცილებელი შეკითხვაა, მაგრამ... რატომ მაინცდამაინც თერთმეტი?***

— რასაკვირველია, ეს არააუცილებელი შეკითხვაა ფეხბურთში მომუშავე კაცისთვის. თერთმეტი ჯადოსნური რიცხვია ფეხბურთში. ასე რომ, თქვენ შეგეძლოთ გეთქვათ, რომ ეს არის გუნდის თითოეული მოთამაშის ერთი იდეა...

● ***საფრანგეთი — 98-ის დღეებში, თქვენ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი მოიხსენიეთ როგორც ნომერ პირველი პრიორიტეტი?***

— ეს სიმართლეა. წლევანდელმა მსოფლიო ჩემპიონატმა დაგვანახვა, რომ ეს მოვლენა ფეხბურთზე უფრო მთელი მსოფლიოსათვისაა მნიშვნელოვანი, რომ ეს მოვლენა ახლა ისეთი ღრმა მნიშვნელობისაა, როგორც არასდროს. არ ვაზვიადებ, თქვენ მხოლოდ არითმეტიკას დაუკვირდით — თუ რამდენი მაყურებელი დაესწრო მატჩებს, რამხელა ტელეაუდიტორია ჰყავდა რეპორტაჟებს საფრანგეთის სტადიონებიდან, რა თანხა გაიღეს სპონსორებმა, რამდენი ადამიანი დასაქმდა უშუალოდ თუ არაუშუალოდ მსოფლიო ჩემპიონატში. ნებისმიერი რაკურსით შეხედეთ ამას და დაინახავთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატი გადაიზარდა მონუმენტურ განზომილებებში, რასაც მხოლოდ ფეხბურთის ჩარჩოები ვერ იტევს, და განვითარების ეს პროცესი ნაღდად არ შეჩერდება. გარდა ამისა, თავისებური ტრადიციაა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორს ყოველთვის სურს აჯობოს თავის წინამორბედს. 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატს ხომ ორი ორგანიზატორი ეყოლება — იაპონია და კორეა და, შეეცდებიან, რომ ჯანსაღი კონკურენციით აჯობონ არა მხოლოდ საფრანგეთს, არამედ ერთიმეორესაც.

თუმცა ჩვენ ბევრი ყურადსაღები გაკვეთილი მივიღეთ, თუნდაც ბილეთების განაწილებაში.

ჩვენი მთავარი პასუხისმგებლობა ყოველთვის იქნება მიმართული გუნდებისკენ და, რა თქმა უნდა, მაყურებლისკენ, მაგრამ ამან არ უნდა მოადუნოს ჩვენი ყურადღება კომერციული პარტნიორებისადმი.

● ***თქვენ ახლა ახსენეთ სიტყვა ჯანსაღი, რაც ალბათ სიტყვა სიტყვითაც უნდა გავითვითცნობიეროთ...***

— დიახ, ამ მიზნით ფიფამ შეძლო სამედიცინო სამსახურის მოგვარება — დააფუძნა გამოკვლევის ცენტრი F-MARC, რომელიც მხოლოდ ფეხბურთის სამედიცინო საკითხებზე მუშაობს, რათა შემცირდეს ტრავმები. ეს ცენტრი მუშაობს აგრეთვე იმაზეც, თუ რა გავლენას ახდენს სპორტსმენზე კვება, ამინდი და ა.შ. ფეხბურთში დოპინგის გამოყენება კი კვლავ ფართო დისკუსიის თემად უნდა ვაქციოთ. ამ საფრთხესთან ბრძოლა ფიფას ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება. დოპინგი თაღლითობაა და ჩვენ ვერ მოვითმენთ თაღლითობას ფეხბურთში, როგორც მედიცინა ვითარდება, პროგრესი არის აგრეთვე ფარმაცევტულ ინდუსტრიაში, ფეხბურთმაც უნდა დაანახვოს ყველას, რომ შეუძლია ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვეს მას (მედიცინას) და თან წმინდად შეინარჩუნოს თავი დოპინგისაგან.

● ***თქვენ გინდათ თქვათ, რომ F-MARC-ის პროექტი ნეუშატელის (შვეიცარია) უნივერსიტეტის CIES-ის (სპორტის შესწავლის საერთაშორისო ცენტრი) პროექტის იდენტურია?***

— ორივე ცენტრის მიზანია, რომ მეცნიერულმა სამყარომ სპორტი თავის ერთ-ერთ სფეროდ მიიჩნიოს. სპორტი სიმწიფისაკენ მიისწრაფვის, ფეხბურთი კი განსაკუთრებით, და მათდამი მეცნიერული სამყაროს მხარდაჭერით აპირებს გახდეს ისეთი აქტუალური, როგორც არასდროს. ფაქტობრივად კი, არაფერი იცვლება და ფეხბურთი, უბრალოდ, თამაშად რჩება, რაც მას უნივერსალურ პოპულარობას ანიჭებს. მაგრამ, ამავე დროს, ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, რომელიც სრულყოფისთვისაა დაკომპლექსებული და უნდა შევძლოთ ფეხბურთის დამკვიდრება თანამედროვე სოციალურ კონტექსტში საჭირო, სწორი სახით. ამაში ჩვენ CIES დაგვეხმარება, რომელიც სთავაზობს ფეხბურთის ფაკულტეტის სტუდენტებს გაიუმჯობესონ თავიანთი ცოდნა ფეხბურთის სხვადასხვა ასპექტში — იქნება ეს სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, იურიდიულ-სამართლებრივი თუ სხვ.

● ***ფიფა —SOS Childven Villages იყო პროექტი, რომელიც თქვენმა წინამორბედმა დააფუძნა და რომლის მიმართაც თქვენც ცხოველ ინტერესს იჩენთ...***

— დოქტორ აველანჟის ინიციატივა — შეექმნა თანამშრომლობა ფიფასა და SOS Childven Villages შორის — იყო უმშვენიერესი დემონსტრირება იმის, თუ როგორ ღრმად ესმოდა აველანჟს ფეხბურთის სოციალური პასუხისმგებლობა. სამი წელია, რაც პროგრამა ხორციელდება და უფრო და უფრო ძლიერდება. SOS Children Villages ბრწყინვალე პარტნიორია, რომელსაც კარგად ესმის თუ რა სარგებლობა შეუძლია მოუტანოს ფეხბურთმა ბავშვებს. **ჩვენ კვლავ ვაგაგრძელებთ აქტიურად დავუჭიროთ მხარი ეროვნულ ასოციაციებს, კლუბებს და ფეხბურთელებს.** ჩემი, როგორც პრეზიდენტის, მოგზაურობის დროს ერთი სული მექნება ვიზიტებისა SOS Children Villages პროგრამის ხაზითაც — ეს ფიფას ყველაზე უფრო სასიამოვნო, კმაყოფილების მომგვრელი საქმიანობაა.

● ***ეს მოგზაურობა ალბათ პოლიტიკურ ავტორიტეტებითაც ვიზიტებსაც გაითვალისწინებს. რატომ ცდილობთ, რომ კიდევ უფრო ახლო დიალოგი გქონდეთ მათთან, რასაც თქვენი პროგრამა ითვალისწინებს?***

— ფეხბურთის სოციალური ფენომენი გამზადებულ სათამაშოს ხდის ფეხბურთს პოლიტიკოსებისათვის, რომლებსაც სურთ პოპულისტური ხერხებით მოიპოვონ საარჩევნო ხმები. ფეხბურთის პოპულარობა აცდუნებს ხოლმე პოლიტიკოსებს ხელი შეუშალონ თამაშის ორგანიზატორებს; აჩვენონ ხალხს, რომ ისინი არიან „ჩართულნი“ მოსახლეობის **გულისნადებთან.** თუმც ბევრ შემთხვევაში ეს მართლაც ასეა და მაშინ ურთიერთობები გენიალურია. მაგრამ ძალიან ბევრ შემთხვევაში პოლიტიკური ავტორიტეტები იწყებენ ფეხბურთის ტერიტორიაზე შემოჭრას, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში. **პოლიტიკოსებს არ უნდა ჰქონდეთ ფეხბურთის პასუხისმგებლობის იგნორირების ნება,** მაგრამ ეს პასუხისმგებლობა არ უნდა გასცილდეს სოციალურ სექტორს და არ უნდა ხელჰყონ ფიფას უფლება მართოს ფეხბურთი. მაგალითები კარგადაა ცნობილი: უსაფრთხოება, ფეხბურთელების კონტრაქტები, ბილეთების რეალიზების სისტემა, თვითნებური მცდელობა ახალი ტურნირების ჩასატარებლად და ა.შ. დაუფარავი, ღია ლაპარაკით კონფლიქტის ამ საკითხებზე ჩვენ შეგვიძლია უკეთ ჩავწვდეთ ***მათგანის*** არსს. ყოველთვის სჯობია გვქონდეს დიალოგი, ვიდრე კონფრონტაცია.

● ***რას იტყვით ფიფას სამომავლო ურთიერთობებზე სხვა სპორტულ ორგანიზაციებთან, მათ შორის სოკ-თან?***

— აქაც, ვგრძნობ, რომ მზად უნდა ვიყოთ ახლო დიალოგისათვის. განსაკუთრებით სამომავლო ოლიმპიური ტურნირისათვის. ახლა, ოლიმპიურ თამაშებში ხომ ქალთა ფეხბურთიც შედის. ფიფას კონგრესს სურს, რომ არსებული სიტუაცია სოკ-თან შეინარჩუნოს — არ უნდა დავუშვათ, რომ მსოფლიო ჩემპონატი ფეხბურთში ემუქრებოდეს ოლიმპიურ თამაშებს. ხაზი მინდა გავუსვა პირადად ჩემს ძალიან კარგ ურთიერთობას სოკ-ის პრეზიდენტთან. გარდა ამისა, მინდა დავამატო, რომ ჩვენ ვგრძნობთ თუ რა უპირატესობა აქვს ფეხბურთს, რაც გვავალდებულებს ვუხელმძღვანელოთ სხვადასხვა საქმიანობას სპორტის სხვა სახეობებში — მაგალითად, როცა ფიფამ სტადიონებზე პერსონალური სკამების დამონტაჟებაზე მიუთითა, იქვე სამუშაო ჯგუფებს დაუსახა უზრუნველეყოთ მასმედიის აღჭურვილობა სპორტის ყველა სახეობისთვის და არა მხოლოდ ფეხბურთისთვის.

● ***ფიფას პოლიტიკა სატელევიზიო უფლებების განაწილების მხრივ მომავალი ორი მსოფლიო ჩემპიონატისთვის ფართო კომენტირების საგნად იქცა. ეს თქვენი 11-პუნქტიანი პროგრამის ერთ-ერთი პუნქტია.***

— ჩვენი მთავარი ამოცანაა, რაც შეიძლება ბევრმა ხალხმა ნახოს მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ტელერეპორტაჟები და, რომ ეს მათ ექსტრადანახარჯების გარეშე შეძლონ. ბევრჯერ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატს ფასიანი ტელეარხები პირდაპირ ეთერით ვერ გადასცემენ. წინ დიდი და შრომატევადი სამუშაოები გველის კომენტატორის ადგილების განაწილების მხრივ, რათა ბევრი განსხვავებული სახეობა გამოიძებნოს მაუწყებლობის შესაძლებლობისთვის და რათა მივაღწიოთ სამართლიან ბალანსს კომერციულ მიზნებსა და რაც შეიძლება დიდ ტელეაუდიენციას შორის. პროცესი ეს-ეს არის დაიწყო, ეს არის ურთიერთობების გაწყვეტა წარსულის პრაქტიკასთან, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ახალი პარტნიორები ოპტიმალურ შედეგს მიაღწევენ.

● ***თქვენ ამით აგრეთვე გსურთ თქვათ, რომ საჭიროა შეიქმნას საუკეთესო შესაძლებლობები, რათა ფიფამ მიიღოს თანხები, რაც უნდა იყოს შედეგი ახალი სატელევიზიო და მარკეტინგული კონტრაქტებისა...***

— უპირველეს ყოვლისა, გავიმეორებ დოქტორ აველანჟის დანაპირებს, რომ ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ეროვნულ ასოციაციებს დაურიგდებათ მილიონი დოლარი თითოეულს, რა საკვირველია, ეს თანხა ზოგიერთი ეროვნული ასოციაციისთვის უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე სხვებისთვის. ფიფა დაეხმარება ეროვნულ ასოციაციებს, რომ ეს ახალი რესურსები მათ ბრძნულად გამოიყენონ. ჩვენ გამოვუყოფთ მათ ფულს, ოღონდ, მხოლოდ მაშინ გადავურიცხავთ, როცა ისინი დეტალურ და სპეციფიკურ პროგრამას წარმოგვიდგენენ.

პირველ რიგში, გვინდა, ყველა ჩვენი 203 წევრი-ასოციაციის ადმინისტრაციული დონე ამაღლდეს და მომძლავრდეს, აგრეთვე უნდა ვიმუშაოთ წმინდა საფეხბურთო ასპექტების მხრივაც. ამას განუსაზღვრელი დრო სჭირდება, მაგრამ მესმის თუ რა მნიშვნელობა აქვს ეროვნული ფედერაციებისთვის დახმარებას, რათა მათ გააუმჯობესონ საფეხბურთო მეურნეობა ბავშვთა ფეხბურთიდან, უზრუნველყონ ბავშვების ეკიპირება, შეუქმნან ბავშვებს ხელსაყრელი პირობები. ყველა ქვეყანას სხვადასხვა პრიორიტეტი აქვს და ჩვენც იდენტურად უნდა ვიმუშაოთ მათთან მათი საჭიროების გათვალისწინებით. ეს არის სფერო, რომელშიც მიშელ პლატინის და სხვა ყოფილ ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს უნდა მივმართოთ თხოვნით, რომ მათ პრაქტიკულად მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ.

● ***როგორც ჩანს, თქვენ შეწუხებული ხართ იმის გამო, რომ რაღაც გარკვეულ ძალებს საფეხბურთო დაწესებულებების გვერდის ავლით სურთ შექმნან დამოუკიდებელი ლიგა...***

— ბევრი ითქვა და დაიწერა ევროპაში დამოუკიდებელი ლიგის შექმნის შესახებ. მოდით ნათელი მოვფინოთ ამაზე სჯა-ბაასს — ასეთი პროექტი შეუძლებელია. ფიფა კვლავაც მჭიდროდ ითანამშრომლებს საჭირო და შესაბამის რეგიონალურ ძალებთან — განსაკუთრებით უეფასთან, რომელიც იზიარებს ფიფას შეშფოთებას ამ პროექტის თაობაზე, რაც უეფას საკუთარ პროექტს — ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას რომ ემუქრება. ჩვენ კვლავაც მკაცრად დავიცავთ პრინციპს ფეხბურთელების და გუნდების სტატუსის შესახებ. რომლებიც მონაწილეობენ რაღაც დაჯგუფებების მიერ ორგანიზებულ ტურნირებში საფეხბურთო დაწესებულებების გვერდის ავლით. პერსპექტივა მათთვის შეიძლება იყოს მაცდუნებელი, რადგან დიდ ფინანსურ მოგებას ჰპირდებიან, მაგრამ ჩვენ არ ვიქნებით ბანკროტის პირას თუ გავითვითცნობიერებთ, რომ საფეხბურთო ტურნირის მოწყობა მხოლოდ ფულის შოვნის მოტივით, არაკვალიფიცირებულად, სპორტული არსის გარეშე, პროვოცირებას უკეთებს ანარქიას ფეხბურთში. არსებითია, რომ განსაზღვრული სტატუსის მქონე იერარქია და ერთობა დასაყრდენია მსოფლიოსთვის.

● ***მსაჯობა? ეს ხომ თქვენი საყვარელი თემაა...***

— მართლაც! როგორც ფეხბურთში გრძელდება გაუმჯობესების სტანდარტი ასეთივე სტანდარტი უნდა იყოს მსაჯობის მხრივაც. ეს არის მხოლოდ ლოგიკური. თუმცა ახლა ალოგიკურობასთან გვაქვს საქმე — მოყვარული აკონტროლებს 22 მაღალანაზღაურებად მოთამაშეს. ეს უსამართლობაა მის მიმართ, ის ხომ საკმაო ზეწოლას განიცდის. ვწუხვარ მსაჯების გამო, როცა ფეხბურთელები მიმართავენ მზაკვრობას, რათა მსაჯი მოატყუონ. ხოლო, როცა მათი მეტოქე იგივეს აკეთებს და, ეს გასდის, ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ მსაჯის მიმართ. ამავე დროს, მსაჯი იძულებულია იცოდეს რასთან აქვს საქმე მატჩში. საუკეთესო გზა, დავეხმაროთ მსაჯებს მიაღწიონ ამას, ისაა, რომ შესაძლებლობა მივცეთ მათ უფრო მეტი დრო და ენერგია მოახმარონ სპორტს — გახდნენ პროფესიონალები. მსურს იქითკენ გავაგრძელო მუშაობა, რომ უფრო მეტი ყოფილი ფეხბურთელი გახდეს მსაჯი. მათ ხომ თამაში **შინაგანად** იციან — ეს ძალიან დიდი უპირატესობაა.

● ***და ბოლოს, ბატონო პრეზიდენტო, პროგრამაში თქვენ კონტინენტური კონფედერაციების როლის შესახებაც ამახვილებთ ყურადღებას.***

— აქამდე, კონტინენტური კონფედერაციები არ იყო მთლად კარგად ინტეგრირებული საფეხბურთო ოჯახში — რა თქმა უნდა, ისინი არიან იქ, თავს აბამენ შეჯიბრებებს, უძღვებიან ადმინისტრაციულ სამუშაოებს რეგიონებში და ა.შ. მაგრამ ისინი ხომ ფიფას მხოლოდ ფორმალური სტატუსით არ უნდა დაკმაყოფილდნენ. ისინი თითქოს გარიყულნი არიან და ასეთი ტენდენცია უნდა შეიცვალოს მნიშვნელოვან ხარისხში. მათ აქვთ ხმის უფლება ფიფას კონგრესში, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია კიდევ უფრო შორს წავიდეთ და მეტი პერმანენტული ხმები მივცეთ, რაც მათი წევრების ინტერესებშია. ეს მხოლოდ დაეხმარება ფეხბურთის მთლიან სტრუქტურას, გახდება უფრო სოლიდური, უფრო ეფექტური და უფრო პროგრესული — და უფრო კარგად გავიაზროთ თანამედროვე საფეხბურთო სამყაროს რეალობა. მიუხედავად იმისა, რომ ამას ვამბობ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ინდივიდუალური ეროვნული ასოციაციებია ფიფას უშუალო წევრები და ამის გამო ფეხბურთის რეალური მეპატრონეებიც.

თარგმნა
დათო თავართქილაძემ

(იბეჭდება უცვლელად)

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### „ლივერპული“ შეუპოვრობას იჩენს

„ლივერპულმა“ გადაწყვიტა გააგრძელოს მოლაპარაკება განთქმულ მეკარე ლუის ჩილავერტის შეძენის თაობაზე. ინგლისელებს ჩილავერტის შეძენა ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ უნდოდათ, მაგრამ „ველეს სარსფილდმა“ მაშინ არ მოისურვა მეკარის გაყიდვა. რამდენიმე ხნით ადრე „ლივერპულმა“ სპეციალური დელეგაცია გაგზავნა ბუენოს-აირესში იმის გასაგებად, თუ როგორია ამჟამად განთქმული მეკარის მზადყოფნა. „ლივერპულის“ ფრანგი მწვრთნელი ჟერარ ულიე ჩილავერტს მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს მეკარედ თვლის, რომელსაც გაცილებით უკეთ შეუძლია დაცვას უხელმძღვანელოს, ვიდრე ბრედ ფრიდელი (აშშ-ს ნაკრების მეორე მეკარე) ან დევიდ ჯეიმსი.

„ლივერპული“ არ აპირებს „ბარსელონისა“ და პორტუგალიის ნაკრების მეკარე ვიტორ ბაიასთან მოლაპარაკების დაწყებას, სანამ სიტუაცია ჩილავერტთან არ გაირკვევა. წინასწარი ცნობებით, ჩილავერტი „ლივერპულს“ შეიძლება დაუჯდეს დაახლოებით 3 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

### „კოპა ამერიკის“ წილისყრა

გაიმართა „კოპა ამერიკა 99“-ის — სამხრეთ ამერიკის არაოფიციალური ჩემპიონატის წილისყრა, რომელიც პარაგვაიში ივნის-ივლისში ჩატარდება.

„A“ ჯგუფის თამაშები პარაგვაის დედაქალაქ ასუნსიონში გაიმართება. მასში პარაგვაის, პერუს, ბოლივიისა და იაპონიის (!) ნაკრებები ითამაშებენ. „B“ ჯგუფის ნაკრებები ითამაშებენ სიუდად დე ესტეში, 320 კმ-ზე ასუნსიონიდან. ბრაზილიის საზღვართან. აქ ითამაშებენ მექსიკის, ჩილეს, ბრაზილიისა და ვენესუელის ნაკრებები. „სიკვდილის ჯგუფი“ უწოდეს „C“ ჯგუფს, სადაც გამოდიან არგენტინა, ურუგვაია, კოლუმბია და ეკვადორი. თამაშები ჩატარდება ხოსე ლუის ჩილავერტის მშობლიურ ქალაქ ლუკეში.

ჯგუფური ტურნირები 7 ივლისისათვის უნდა დამთავრდეს, რის შემდეგ მეოთხედფინალის წყვილები ჩამოყალიბდება. აქ გავა ორ-ორი უძლიერესი თითოეული ჯგუფიდან, აგრეთვე ორი საუკეთესო მესამე ადგილზე გასულთაგან. ისინი 10 და 11 ივლისს ითამაშებენ.

ნახევარფინალები 13-14 ივლისს გაიმართება, ფინალური მატჩი კი — 18 ივლისს ასუნსიონში „დეფენსორეს დელ ჩაკოს“ სტადიონზე.

### 13 მილიონი 18 წლის ჭაბუკში

გაჭირვებაში ჩავარდნილი „ბარსელონა“ სუსტად მოთამაშე დაცვის გამაგრებას ცდილობს. მან ყურადღება მიაქცია ლისაბონის „ბენფიკას“ მცველს, 18 წლის უგო ლეალს, რომელიც ამ სეზონში ბრწყინვალედ თამაშობს და უკვე სხვადასხვა კლუბებსაც აინტერესებს იგი.

როგორც ესპანური ყოველდღიური გაზეთი „სპორტი“ იუწყება, კატალონიელები „ბენფიკას“ ლეალში 13 მილიონ დოლარს შესთავაზებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზიდანი ევროპის მეფეა

*როგორც იქნა სამართლიანობამ იზეიმა და ალჟირელი ემიგრანტის ვაჟი ზინედინ ზიდანი დიდების მწვერვალზე აღმოჩნდა — ის ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს უეფას ყველა წევრი-ქვეყნის ჟურნალისტების გამოკითხვის შედეგად და „ფრანს ფუტბოლის" მიერ დაწესებული „ოქროს ბურთიც" გადაეცა. მან 176 (!) ხმით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ დავორ შუკერს. თუმცა რაა გასაკვირი, ეს წელიწადი ხომ მართლაც ზინედინ ზიდანის იყო. კონტინენტის წლევანდელი საუკეთესო ათეული კი ასე გამოიყურება.*

1. **ზინედინ ზიდანი** (საფრანგეთი, „იუვენტუსი") – 244 ხმა
2. **დავორ შუკერი** (ხორვატია, „რეალი") – 68
3. **რონალდო** (ბრაზილია, „ინტერი") – 66
4. **მაიკლ ოუენი** (ინგლისი, „ლივერპული") – 51
5. **რივალდო** (ბრაზილია, „ბარსელონა") – 45
6. **გაბრიელ ბატისტუტა** (არგენტინა, „ფიორენტინა") – 43
7. **ლილიან ტურამი** (საფრანგეთი, „პარმა") – 36

8–9. **დენის ბერგკამპი** (ჰოლანდია, „არსენალი")
**ედგარ დავიდსი** (ჰოლანდია, „იუვენტუსი") – 28-28

10. **მარსელ დესაი** (საფრანგეთი, „ჩელსი") – 19

## ზინედინ ზიდანი - 1972 წლიდან 1999-მდე

**(ღირსშესანიშნავი ფაქტები)**

***დაიბადა*** 1972 წლის 23 ივნისს მარსელში.

***1989 წელს*** ჰქონდა დებიუტი საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში, როცა პირველად მოირგო „კანის" მაისური.

***1992 წელს*** გადავიდა „ბორდოში".

***1994 წელს*** დაასახელეს საფრანგეთის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად.

***1995 წლის*** ოქტომბერში, საფრანგეთ-რუმინეთის მატჩში გაიტანა გოლი, რომელმაც უზრუნველჰყო საფრანგეთის ნაკრების თამაში ევრო-96-ის ფინალურ ეტაპზე.

***1995 წლის*** დეკემბერში ინტერტოტოს თასის გათამაშების მატჩში („ბორდო"-„ბეტისი") 35 მეტრიდან გაიტანა გოლი, რითაც „ბორდომ" უეფას თასზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

***1996 წლის*** მაისში „ბორდო" ზიდანის დიდი შემწეობით უეფას თასის ფინალში გავიდა, სადაც მიუნხენის „ბაიერნთან" დამარცხდა.

***1996-97 სეზონიდან*** იგი „იუვენტუსის" ღირსებას იცავს და იქ თავის პირველივე სეზონში იტალიის ჩემპიონი გახდა.



***1997 წელს*** ზიდანის „იუვენტუსი" ჩემპიონთა ლიგის ფინალში დამარცხდა დორტმუნდის „ბორუსიასთან".

***1998 წელს*** ზინედინმა კვლავ ბევრი სისხლი და ოფლი დაანთხია „იუვეს" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასასვლელად, მაგრამ ტროფეის მოპოვება მადრიდის „რეალმა" არ დაანება.

***1998 წლის*** 12 ივლისს ზინედინ ზიდანმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში ორი თავურით გაუტანა ბრაზილიელებს გოლები.



*დიდ ფეხბურთში დამკვიდრებას 19 წლის ზინედინ ზიდანი კლუბ „კანში" შეუდგა.*



საფრანგეთი-98-ის ფინალური მატჩი.
ზიდანის პირველი თავური ბრაზილიელთა კარში.

## მოკლედ ნომრიდან – ნომრამდე

● **ფიფას** გადაწყვეტილებით, კონფედერაციათა თასზე საფრანგეთს გერმანია შეცვლის. როგორც ვიტყობინებოდით, მსოფლიო ჩემპიონმა, საფრანგეთის ნაკრებმა, შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, ამიტომ ორგანიზატორებმა მის ნაცვლად ევროპის ჩემპიონები — გერმანელები მიიწვიეს.

● **მსოფლიოს** უდიდესმა საინფორმაციო სააგენტომ „როიტერმა" 1998 წლის რჩეულ სპორტსმენად დაასახელა ფრანგი ფეხბურთელი **ზინედინ ზიდანი**. გამოკითხვაში 35 ქვეყნის 60 სპორტული ჟურნალისტი მონაწილეობდა. ზიდანმა 128 ქულა მიიღო, სხვები მას გაცილებით ჩამორჩნენ: ავსტრიელი სამთომოთხილამურე ავსტრიელი ჰერმან მაიერი — 76 ქულა, ამერიკელი მძლეოსანი ქალი მერიონ ჯონსი — 74 და ა.შ.

● **ქალთა** მსოფლიო ჩემპიონატი გაისად აშშ-ში გაიმართება. ფიფას გადაწყვეტილებით ამ ტურნირს მხოლოდ არბიტრ ქალთა ბრიგადები მოემსახურებიან. 1999 წლის მონდიალში 16 გუნდი იასპარეზებს.

● **ოფიციალურად** გამოცხადდა, რომ ესპანეთის „ტენერიფეს" მთავარი მწვრთნელი ხუან მანუელ ლილო თანამდებობიდან გადააყენეს. ამის მიზეზია გუნდის წარუმატებელი გამოსვლა ეროვნულ ჩემპიონატში. ლილოს სავარაუდო შემცვლელებია უელსელი ჯონ ტოშაკი, არგენტინელი ოსვალდო არდილესი.

● **ესპანელმა** ჟურნალისტებმაც გამოავლინეს წლის რჩეული ფეხბურთელები. საუკეთესო ესპანელ ფეხბურთელად მიიჩნიეს მადრიდის „რეალის" მცველი ფერნანდო იერო (მან გაუსწრო კიკო ნარვაესს „ატლეტიკოდან" და ლუის ენრიკეს „ბარსელონადან"). რჩეულ ლეგიონერად აღიარეს „ბარსელონას" ბრაზილიელი ნახევარმცველი რივალდო (დიდი უპირატესობით აჯობა თანამემამულე რობერტო კარლოსს „რეალიდან"), ლიგის საუკეთესო მეკარეა ესპანიოლელი ტონი ხიმენესი, რჩეული მწვრთნელი კი „მალიორკას" არგენტინელი თავკაცი ექტორ კუპერი (მისი გუნდი ახლა ჩემპიონატს ლიდერობს და თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალში გავიდა). ჟურნალისტთა ორიგინალური პრიზი გადაეცემა სამეფო კლუბის ფორვარდს რაულ გონსალესს — საკონტინენტთაშორისო თასის ფინალში გატანილი სუპერგოლისათვის. ყველაზე სწრაფად პროგრესირებადი ფეხბურთელის პრიზის მფლობელი გახდება „სელტას" მარჯვენა მცველი მიჩელ სალგადოსი. წლის ყველაზე პოლემიკური ფიგურის სახელი მიანიჭეს „ატლეტიკოდან" „ლაციოში" სკანდალით გადასულ იტალიელ ფორვარდს კრისტიან ვიერის. წლის ყველაზე დიდ დანაკარგად ჩაითვალა ივან დე ლა პენიას გაყიდვა „ბარსელონადან" „ლაციოში".

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ფრანჩესკოლიმ მიიწვია მარადონა

ურუგვაელმა ვარსკვლავმა ენცო ფრანჩესკოლიმ თავის გამოსათხოვარ მატჩში მიიწვია მარადონა. აქ ერთმა რამემ სათამაშოდ გამოიწვია პატარა გაუგებრობა: ფრანჩესკოლი დიდხანს თამაშობდა „რივერ პლეიტში", მარადონა კი „ბოკა ხუნიორსში". ეს ორი კლუბი დიდ მეტოქეებად ითვლება, რაც ხანდახან აშკარა მტრობაშიც კი გადაიზრდებოდა ხოლმე.

— დეე ადამიანებმა გაიგონ, რომ ეს უჩვეულო მატჩი იქნება, დიეგო მასში ითამაშებს, როგორც ჩემი მეგობარი.

### რონალდო და რომარიო არ არიან, მაგრამ...

ტულაში იმყოფებოდა მოსკოვის „დინამოს" მწვრთნელი — სელექციონერი ივან მოზერი, რომელმაც „თვალი დაადგა" „არსენალის" ბრაზილიელ მოთამაშეებს დიასა (უკვე ფართოდ ცნობილ ანდრანდინას) და კონსტასაოს.

— ისინი, რა თქმა უნდა, სულაც არ არიან რონალდო და რომარიო, მაგრამ გოლის გატანა იციან. ჩვენი კლუბის ხელმძღვანელებს ვურჩიე მათთან მოლაპარაკების გამართვა.

რაც შეეხება ტულის „არსენალის" მთავარ მწვრთნელ ევგენი კუჩერევსკის, იგი აცხადებს, რომ ცოცხალი თავით დიასს (ანდრადინას) არავის დაუთმობს.

### რივალდომ დაარიგა... სათვალეები

ეს თავისებური აქცია ქალაქ სან-ჟოზე-დოს-კამპოსში მოეწყო, რომელიც სან-პაულუს ახლოს მდებარეობს. ბრაზილიის ნაკრების განთქმულმა ნახევარმცველმა რივალდომ საქველმოქმედო საღამოზე, რომელსაც მეტად თავისებური სახელი ერქვა: „შენი ძველი სათვალეები ძვირი ღირს", ბრაზილიელ ღარიბ-ღატაკებს დაურიგა სათვალეები და სხვადასხვა ოპტიკური ხელსაწყოები. ეს ის ქალაქია, სადაც რივალდო დაიბადა.

— ამ ინიციატივამ სიამოვნება მომანიჭა. ჩემთვის აუცილებელია დავეხმარო იმ ადამიანებს, რომელთაც თანაგრძნობა სჭირდებათ — განაცხადა რივალდომ.

### მიგრაცია, მიგრაცია

როგორც ყოველთვის, რუსეთის კლუბებიდან ყველაზე მეტი ცვლილება ვლადიკავკაზის „ალანიაში". აქ ჩაირიცხნენ ბრაზილიელები ჯეფერსონი და ელიო, ლიტველები ქუტაუტასი და ეკშიო, ორი მოთამაშე — კუტარბა და ა. კოვალენკო გადავიდა სოჭის — ჟემჩუჟინიდან".

მოსკოვის „ლოკომოტივმა" გააფორმა ხელშეკრულება რუსეთის ნაკრების ნახევარმცველ ალექსეი სმერტინთან, რომელიც აქამდე ელისტის „ურალანში" გამოდიოდა. ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცის" თავდამსხმელი ბურდინი გაემგზავრა სამხრეთ კორეაში, სადაც ადრეც თამაშობდა. პეტერბურგის „ზენიტის" თავდამსხმელ კლეშჩენკო, ეტყობა, მაინც ფრანკფურტის „აინტრახტში" დაიწყებს თამაშს.

### შემცირება სჯობს

გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ერიხ რიბეკმა ქვეყნის ფეხბურთის მესვეურებს შესთავაზა — განიხილონ იდეა ბუნდესლიგის კლუბების 18-დან 16-მდე შემცირების შესახებ. მისი აზრით, ეს აუცილებელი იქნება, რომ ნაკრები უკეთ მოემზადოს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი თამაშებისათვის. რიბეკის ინიციატივას გერმანიის წამყვანი კლუბების ხელმძღვანელებიც უჭერენ მხარს, მართალია, ცოტა სხვა მოსაზრებით. ასე, მაგალითად, „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი ფრიც შერერი თვლის, რომ ჩემპიონთა ლიგის 32 გუნდამდე გაზრდის შემდეგ კალენდარი ძალზე გადაიტვირთება. ამრიგად, საჭიროა ჩემპიონატის მატჩების რიცხვის შემცირება.

### კობი ჯოუნსი – აშშ-ს №1

„ლოს-ანჯელეს გელექსის" და აშშ-ის ნაკრების ნახევარმცველი კობი ჯოუნსი აღიარებულია ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად რეფერენდუმის შემდეგ, რომელშიც 200 სპორტული ჟურნალისტი მონაწილეობდა.

ჯოუნსმა 271 ქულა მოაგროვა, გაასწრო მეკარე კეისი კელერსა (238) და შარშანდელ გამარჯვებულ ედი პოუპს (145).

ახალ ლაურეატს აშშ-ს ნაკრებში 111 მატჩი აქვს ჩატარებული და უკვე რამდენიმე წელია მის ერთ-ერთ ბურჯად ითვლება. საზეიმო ცერემონიალზე, რომელიც ქ. ბევერლი — ჰილზის ერთ-ერთი ოტელში გაიმართა, ჯოუნსს გადაეცა ავტომანქანა, რომლითაც იგი ავტოკონცერნმა „ჰონდამ" დააჯილდოვა.

### სალინასის 140 გოლი

ხულიო სალინასს, რომელსაც გულშემატკივრები „მანეს" ეძახიან, სხვადასხვა ესპანური კლუბების შემადგენლობაში ეროვნულ ჩემპიონატებში გატანილი აქვს 140 გოლი. ახლა 36 წლის თავდამსხმელი იაპონიიდან დაბრუნდა, სადაც „იოკაჰამა მარინოსში" გამოდიოდა, ჩაირიცხა „ალავესში", იქ სეზონის ბოლომდე დარჩება და ფეხბურთისათვის თავის დანებებას სულაც არ აპირებს.

### ესპანელებმა, ბოლოს და ბოლოს, დათმეს

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა აღარ შეეწინააღმდეგოს ბასკეთისა და კატალონიის ნაკრებების არსებობას. მან სათანადო განცხადებით მიმართა ფიფას ნება დართოს ამ ნაკრებებს გამართონ საერთაშორისო ამხანაგური მატჩები. ბასკები აპირებენ შეხვდნენ ურუგვაის ნაკრებს, კატალონიელები კი ნიგერიელებთან შესახვედრად ემზადებიან.

## „ოქროს ბურთის" მფლობელები

● **ზინედინ ზიდანი** „ოქროს ბურთის" 33-ე ლაურეატია.

● **„ოქროს ბურთი"** 1956 წლიდან ეძლეოდა მხოლოდ ევროპელ ფეხბურთელს, ხოლო 1995 წლიდან კი კონკურსში ჩართეს კონტინენტის კლუბებში მოთამაშე არაევროპელი ფეხბურთელებიც.

● **„ოქროს ბურთს"** ყველაზე მეტჯერ ფლობდნენ შემდეგი ***ქვეყნის*** წარმომადგენლები:
გერმანიისა და ჰოლანდიის — 7-7-ჯერ;
საფრანგეთის — 6; ინგლისისა და იტალიის — 4-4;
ესპანეთისა და სსრკ — 3-3; თითოჯერ: პორტუგალია (ეუსებიო);
უნგრეთი (ალბერტი); ჩრ. ირლანდია (ჯ. ბესტი); შოტლანდია (დ. ლოუ); ჩეხოსლოვაკია (ი. მასოპუსტი); დანია (ა. სიმონსენი); ბულგარეთი (ხ. სტოიჩკოვი); ლიბერია (ჯ. ვეა); ბრაზილია (რონალდო)

● **ყველაზე მეტჯერ** „ოქროს ბურთის" მფლობელები იყვნენ შემდეგი ***გუნდების*** ფეხბურთელები:
„იუვენტუსის" — 7 (პლატინი — 3, სივორი, როსი, ბაჯო, ზიდანი).
„მილანი" — 6 (ვან ბასტენი — 3, რივერა, გულიტი, ვეა).
„ბაიერნი" — 5 (რუმენიგე და ბეკენბაუერი — 2-2, მიულერი).
„ბარსელონა" — 4 (კრუიფი — 2, სუარესი, სტოიჩკოვი)
„მანჩესტერის" — 3 (ლოუ, ჩარლტონი, ბესტი)
„რეალის" — 3 (დი სტეფანო — 2, კოპა)
„ჰამბურგის" — 2 (ორივეჯერ კიგანი)
კიევის „დინამოს" — 2 (ბლოხინი, ბელანოვი).
„ინტერის" — 2 (მათეუსი, რონალდო)
თითოჯერ: მოსკოვის „დინამოს" (იაშინი); „აიაქსის" (კრუიფი);
„ბორუსიის" დორტმუნდი (ზამერი); „ბორუსია" მიონხენგლადბახი (სიმონსენი);
„მარსელი" (პაპენი); „ფერენცვაროში" (ალბერტი); „ბენფიკა" (ეუსებიო); „დუკლა" (მასოპუსტი); „ბლეკპური" (მეტიუზი).

● **„ოქროს ბურთს"** 3-3-ჯერ ფლობდნენ: მიშელ პლატინი (სამჯერ ზედიზედ), იოჰან კრუიფი და მარკო ვან ბასტენი. ი. კრუიფი ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც „ოქროს ბურთი" მოიპოვა ორი გუნდის („აიაქსისა" და „ბარსელონას") შემადგენლობაში. 2-2-ჯერ „ოქროს ბურთს" ფლობდნენ: ალფრედო დი სტეფანო, ფრანც ბეკენბაუერი, კევინ კიგანი (ზედიზედ); კარლ-ჰაინც რუმენიგე (ზედიზედ).

● **„ოქროს ბურთის"** ლაურეატთა შორის ყველაზე მაღალი ფეხბურთელია: ჰოლანდიელი მარკო ვან ბასტენი — 188 სმ; ლ. იაშინი — 187 სმ, რ. გულიტი — 186 სმ; ჯ. ვეა — 185 სმ.
ყველაზე — დაბლები: ალან სიმონსენი და კევინ კიგანი — 168 სმ. შემდეგ მოდიან: რ. კოპა — 170 სმ; ბ. ჩარლტონი და ო. სივორი — 171 სმ; ჯ. ბესტი — 172 სმ.

● **„ოქროს ბურთის"** ლაურეატებიდან ყველაზე მძიმე ფეხბურთელებია: რ. გულიტი — 83 კგ; ლ. იაშინი და ჯ. ვეა — 82-82 კგ, მ. ვან ბასტენი — 80 კგ.
ხოლო ყველაზე მსუბუქები არიან: ა. სიმონსენი — 57 კგ;
ჯ. ბესტი — 64 კგ; პ. როსი — 66 კგ, ი. კრუიფი და კ. კიგანი — 67-67 კგ.

● **„ოქროს ბურთის"** მფლობელთაგან ყველაზე „ახალგაზრდაა" ბრაზილიელი რონალდო, რომელიც პრიზს 21 წლისა დაეუფლა. შემდეგ მოდიან: ჯ. ბესტი — 22 წლის, ო. ბლოხინი და ეუსებიო — 23-23 წლის; ი. კრუიფი, დ. ლოუ და მ. ვან ბასტენი — 24-24 წლის.
ყველაზე „ხნიერი" ლაურეატი კი ს. მეტიუზია — 41 წლის, შემდეგ მოდიან: ლ. იაშინი — 34 წლის, ა. დი სტეფანო და ი. მასოპუსტი — 33-33 წლის, ფ. ბეკენბაუერი — 31 წლის.
„ოქროს ბურთის" ლაურეატების საშუალო ასაკია 27,2 წელი.

ვეფხვია ჯალაღონია,
აფხაზეთი, სოფ. ფშაფი.



# მსოფლიო სენსაციის მოლოდინშია — შაკილი რინგზე გამოვა!

ამასაც მოვესწარით, ნბა-ს გუნდებში ლოკაუტმა მსოფლიოს რჩეულ პროფესიონალ კალათბურთელებს „პროფილის“ შეცვლა აიძულა — უმეტესობამ, ვთქვათ, ჩარლ ბარკლიმ, დენის როდმანმა კინოში დაიწყეს გადაღება, გრანტ ჰილმა ძალოსნობაშიც სცადა ბედი. და აი, ერთ-ერთი ვარსკვლავის მორიგი ახირება — „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა ორი მილიონი დოლარის საფასურად თანხმობა განუცხადა გაეჯიბროს ცნობილ მოკრივეს — ბატერბინს. ორთაბრძოლა ოთხრაუნდიანი იქნება და სავარაუდოდ ერთ თვეში გაიმართება.

*სურათზე: შაკილ ო'ნილი*

# ამერიკულმა საინფორმაციო სააგენტომ უძლიერეს ველომრბოლთა დოპინგური სკანდალი ნაგანოს ოლიმპიადაზე წინ დააყენა

„ასოშიაიტედ პრესის“ სააგენტომ თავის ტრადიციულ გამოკითხვაში 1998 წლის ყველაზე მნიშვნელოვან სპორტულ მოვლენად მიიჩნია საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების გამარჯვება მონდიალ-98-ზე (639 ქულა). წლის „მოვლენა №2“ გახდა Tour de France-ს ველორბოლაზე მომხდარი სადოპინგო სკანდალი (369 ქულა). აღსანიშნავია, რომ ნაგანოს ზამთრის ოლიმპიურმა თამაშებმა გამოკითხვაში მხოლოდ მერვე ადგილი მიიღო. წლის სხვა მნიშვნელოვან სპორტულ მოვლენებად აგრეთვე მიიჩნიეს: „ფორმულა-1“-ში ფინელი მიკი ჰაკინენის გამარჯვება, ბრაზილიელი ფეხბურთელის რონალდოს ავადმყოფობის ისტორია მონდიალი-98-ის ფინალური მატჩის წინ, მსოფლიოს რჩეული სპრინტერი ქალის, ამერიკელი ფლორენს გრიფიტ-ჯოინერის სიკვდილი, ნბა-ში „ჩიკაგოსა“ და მისი ლიდერის მაიკლ ჯორდანის მორიგი აღზევება, ნბა-ში ლოკაუტის გამოცხადება და ა.შ.






## ქვიმატი ობიექტივი



# როგორი იქნება „ფორმულა-1“ - 99



**ამას წინათ ფია-მ (ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია) დაამტკიცა გაისის ავტორბოლაში მსოფლიო პირველობის ოფიციალური კალენდარი „ფორმულა-1“-ის კლასში.**

*7 მარტი* ავსტრალიის „გრან-პრი“ — მელბურნი
*21 მარტი* ჩინეთის „გრან-პრი“ — ჯუხაი, სარეზერვოდ არგენტინის „გრან-პრი“
*11 აპრილი* ბრაზილიის „გრან-პრი“ — ინტერლაგოსი
*2 მაისი* სან-მარინოს „გრან-პრი“ — იმოლა
*16 მაისი* მონაკოს „გრან-პრი“ — მონტე-კარლო
*30 მაისი* ესპანეთის „გრან-პრი“ — ბარსელონა
*13 ივნისი* კანადის „გრან-პრი“ — მონრეალი
*27 ივნისი* საფრანგეთის „გრან-პრი“ — მანია-კური
*11 ივლისი* დიდი ბრიტანეთის „გრან-პრი“ — სილვერსტოუნი
*25 ივლისი* ავსტრიის „გრან-პრი“ — ა-1 რინგი
*1 აგვისტო* გერმანიის „გრან-პრი“ — ხოკენხეიმი
*15 აგვისტო* უნგრეთის „გრან-პრი“ — ჰუნგარორინგი
*29 აგვისტო* ბელგიის „გრან-პრი“ — სპა
*12 სექტემბერი* იტალიის „გრან-პრი“ — მონცა
*26 სექტემბერი* ევროპის „გრან-პრი“ — ნიურბურგრინგი
*17 ოქტომბერი* მალაიზიის „გრან პრი“ — კუალა-ლუმპური
*31 ოქტომბერი* იაპონიის „გრან-პრი“ — სუზუკა

ჩინეთის, სან-მარინოს, უნგრეთისა და მალაიზიის „გრან-პრიზების“ ჩატარება სხვადასხვა მიზეზის გამო ჯერ გარკვეული არაა, ამდენად გამორიცხული არაა, კალენდარში ზოგიერთი ცვლილება რომ შეიტანონ.

## 1999 წლის რეგლამენტის ძირითადი ცვლილებები

მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა რიცხვი არ აღემატება 24 ავტომანქანას. თუ ფინიშამდე პილოტი დაისჯება ათწამიანი ჯარიმით, იგი შეუჩერებლივ განაგრძობს რბოლას, მის ფინალურ შედეგს 25 წამი დაემატება. პილოტს რბოლის უიკ-ენდზე 32 საბურავის გამოყენება შეუძლია მხოლოდ (წლეულს 40 იყო). პილოტის ადგილი ამიერიდან გაეთიშება ბოლიდს, ავარიის შემთხვევაში მრბოლის სავარძელთან ერთად ევაკუაციის მიზნით. სიჩქარეების გადამცემი კოლოფის ღილაკი ჰქვლა ბოლიდზე ერთ ადგილზე უნდა იყოს. უნდა გამოიყენონ ახალი კონსტრუქცია, ავარიის არიდების მიზნით თვლები მოსცილდეს ბოლიდს. საწვავში მინიმალური რაოდენობა უნდა იყოს მინაერთის და იგი ეკოლოგიურად უფრო სუფთა უნდა იყოს.

## მინაწერი

**უსაფრთხოების სათანადო წესრიგის დაუცველობის გამო უნგრეთის „გრან-პრიზე“ მიხაელ შუმახერის ფანატები რბოლის ოფიციალურ დამთავრებამდე გამოცვივდნენ ტრასაზე, რისთვისაც ჰუნგარორინგის ავტოდრომი მილიონი დოლარით დაჯარიმდა.**

## ინფორმაცია

● ***როგორც*** *ცნობილია, ამსტერდამის „აიაქსი“ სეზონში მეტად მარცხიანად თამაშობს. ამაში ახლა უკვე მოხსნილი მთავარი მწვრთნელი, დანიელი მორტენ ოლსენი ძმებს რონალდ და ფრანკ ბურებს ადანაშაულებს.*

*ოლსენმა განაცხადა, რომ ძმებმა კლუბში არაჯანსაღი ატმოსფერო შექმნეს, რომელმაც მწვრთნელის შეცვლა გამოიწვია.*

*მათმა გადაწყვეტილებამ — დაეტოვებინათ კლუბი და ამის გარშემო გამართულმა დისკუსიამ, მოსპო გუნდის მიკროკლიმატი. როცა ერთ დღეს გაზეთში წავიკითხე, რომ ძმები ჩემს ვარჯიშებს მოსაწყენად თვლიდნენ, მივხვდი, ეს კარგ შედეგებამდე არ მიგვიყვანდა. შევცდი — როგორც კი მათ გუნდიდან წასვლა მოინდომეს, მაშინვე ჩემოდნების ჩასაწყობად უნდა გამეგზავნა.*

**გაზეთ „ლელოს“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ჟურნალისტი „საქინფორმის“ სპორტული მიმომხილველი**

**აგული დადიანი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს კახი ცხადაძეს ძმის**

**გოჩა ცხადაძის**

**გარდაცვალების გამო.**









**თარაზულად:** 5. „ფრაიბურგის“ ქართველი ფეხბურთელი, 7. „ბეტისის“ ფეხბურთელი, 8. ხორვატიის საფეხბურთო ნაკრების წევრი, 11. რუსულ კლუბებში მომუშავე ცნობილი საფეხბურთო სპეციალისტი 60-იან წლებში, 12. წარსულში საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების მეკარე, 13. „ლივერპულის“ სამხრეთაფრიკული წარმოშობის თავდამსხმელი, 16. „სკუადრა აძურას“ მცველი *(ფოტო)*, 17. ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი, 21. ევრო-92-ში გამარჯვებული საფეხბურთო ნაკრები, 22. თბილისის „დინამოს“ ექიმი, 23. ცნობილი იტალიელი საფეხბურთო მწვრთნელი, 26. ინგლისის საფეხბურთო კლუბი, 27. ახლო წარსულში თბილისის „დინამოს“ კალათბურთელი, 28. სპორტის სახეობა.

**შვეულად:** 1. „ვერდერის“ ფეხბურთელი, 2. წარსულში კიევის „დინამოსა“ და ლანჩხუთის „გურიის“ ფეხბურთელი, 3. „პარტიზანის“ ფეხბურთელი, 4. „რივერ პლეიტისა“ და არგენტინის ნაკრების ფეხბურთელი, 6. წარსულში სახელგანთქმული ფრანგი ავტომრბოლი, 9. წარსულში ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 1981 წლის 13 მაისის გმირი, 10. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 14. წარსულში ცნობილი ფრანგი საფეხბურთო მსაჯი *(ფოტო)*, 15. „დორტმუნდის“ ფეხბურთელი, 18. 80-იან წლებში „ბაიერნის“ ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 19. მექსიკის საფეხბურთო ნაკრების ფორვარდი, 20. „ატლეტიკის“ ფეხბურთელი, 24. ახლო წარსულში „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი, მეკარე, 25. „ბარსელონას“ ფეხბურთელი *(ფოტო)*

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**
**1. ეc2! 1. ...მფd3 2. მფf4X.**
**1. ...d3 2. ლa7X. 1. f2 2. ლh3X.**


## იფრინეთ იმედიანად და იაფად!

ავიაკომპანია „ოქროს არწივი“ გთავაზობთ ავიარეისს მარშრუტით:
თბილისი — კიევი — ნიუ-იორკი (კენედის აეროპორტი) და უკან.
ორივე მიმართულებით ბილეთის ფასია 590 აშშ დოლარის შესაბამისი ეროვნული ვალუტა.
დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ: **93-30-89.**


**წინა ნომერში გამოქვეყნებული ფოტოკროსვორდის პასუხები:**

1. გარი მაკალისტერი; 2. ტონი იბოა; 3. კარლტონ პალმერი; 4. გარი კელი.


მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ საგამომცემლო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშელი